ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 ის ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—78.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი „საქართველო“ ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 20 მ. მე-4 გვერდზე—15 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—700 მ. 2 ნახ. სვეტის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის-მოწერა:
გაზეთი „საქართველო“ ქალაქში და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—600 მან. ცალკე №—25 მან.

ფასი 25 მან.

წლიწადი მეშვიდე. სამშაბათი, იანვარი 11. 1921 № 6

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი პურის არყი და ტკბილი სასმელები **დ. ი. კალანდაძისა**
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.

ღრმად დამწუხრებული ნესტორ გლახუნის ძე და მეუღლე მისი მარიამ ივანეს ასული სიხარულიძენი ოჯახით მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ კვირას, 9 იანვარს საღამოს 8 საათზე ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი რძალი,

სოფიო მიხეილის ასული
დოლიძისა

რომლის ცხედრის დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს, 12 იანვარს პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე გარდაცვლებულის ბინაზე: სოლოლაკი, სასტუმრო „ინტერნაციონალი“.

2—1 3376

ღრმად დამწუხრებული ნოე გ. სიხარულიძე და ოჯახობა მისი მარიამ ივანეს ასული მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს, რომ კვირას, 9 იანვარს საღამოს 8 საათზე ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის მარად დაუვიწყარი და საყ. რძალი,

სოფიო მიხეილის ასული
დოლიძისა

რომლის ნეშთის დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს, 12 იანვარს დღის 12 საათზე, პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე გარდაცვალების ბინაზე: სოლოლაკი, სასტუმრო „ინტერნაციონალი“

2—1 3375

დიმიტრი როსტომის ძე
აბაშიძე

გარდაიცვალა 9 იანვარს 1921 წ. პანაშვიდი ყოველ დღე 7 საათზე საკუთარ ბინაზე ნაზარევის ქ. № 7, გამოსვენება და დაკრძალვა დილის 10 საათზე 13 იანვარს კუკიის ალექსანდრო-ნევსკის ტაძარში.

1—1 3377

ოთხშაბათს, იანვრის 12 ს დღის 2 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი 40 დღის თავის ასანიშნავად

ივანე პეტრეს ძე წულუკიძის

გარდაცვალების დღიდან, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები პეტრე გიორგის ძე და ოლღა ივანეს ასული წულუკიძენი ვაჟებით, რძლითა და შვილიშვილებით.

1—3375—1

არა-სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიათა გაერთიანებული

კონფერენცია

1. კონფერენციას იწვევს საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული, მიწის მესაკუთრეთა ეროვნული და რადიკალ დემოკრატიული პარტიები.

2. კონფერენცია გაიმართება საქართველოს დედა-ქალაქში თბილისში 1921 წლის იანვრის 23-ს, და გაგრძელდება 3 დღე.

3. კონფერენციაზე გამოსაგზავნი დელეგატები აირჩევიან ადგილობრივ არა-სოციალისტურ პარტიათა ორგანიზაციების წევრთა შეერთებულ კრებაზედ, პიროვნულად.

4. თითეული დელეგატი აირჩევა ორას პარტიულ წევრზე, ხოლო არა უმეტეს 1 დელეგატისა არა სოციალისტური პარტიების მიერ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ყოველ სამას ხმაზე.

5. ამ კონფერენციის მიხედვით, თანახმად მთავარი კომიტეტების ცნობებისა, საერთო რიცხვი დელეგატებისა ნავარაუდევია 160 კაცი, გარდა მთავარი კომიტეტების წევრებისა

6. კონფერენციის წევრთა არჩევნებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი სამაზრო ან სარაიონო კომიტეტები, თანახმად ამავე ინსტრუქციის მე-4 მუხლისა

7. დელეგატების არჩევნების შესახებ მთელს რაიონში სდგება სათანადო ოქმი, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ იმ რაიონში არსებული არა სოციალისტური დემოკრატიული ორგანიზაციები.

8. ყოველი დელეგატი უზრუნველყოფილი იქნება ბინით.

9. კონფერენციის მოწვევის საქმეს ხელმძღვანელობს ცენტრალური საკონფერენციო კომისია, რომელიც შედგენილია ზემოხსენებულ პარტიათა ხელმძღვანელ ორგანოთა წარმომადგენელთაგან.

მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის ბიურო.

კონფერენციის წესრიგი.

1.

განცხადება ცენტრალური საკონფერენციო კომისიისა პარტიათა გაერთიანების შესახებ და ამ განცხადების განმარტებანი პარტიათა წარმომადგენლების მიერ

2.

მოხსენებანი მომენტის შესახებ: 1) საშინაო მდგომარეობა, 2) საგარეო მდგომარეობა და 3. ეკონომიური მდგომარეობა.

3.

1. პროგრამა და წესდება, 2. საარჩევნო მუშაობა, 3. არჩევნები მთავაკომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა.

საკონფერენციო კომისია.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

შაბათს, იანვრის 15-ს პრემიერა!

პირველად

მარიამ მაგდალინელი

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მიზანსცენებით.

მონაწილეობს მთელი დასი

მასიური სცენები. ხორო.

მორიგე რეჟისორი ზ. ბერიშვილი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ამ წარმოდგენისათვის აღებული ბილეთები 8 იანვრის თარიღით გამოდგება 15 იანვარს.

სახელმწიფო დრამის თეატრი

სამშაბათს, იანვრის 11ს მეხუთედ ადლუმი

ხუთშაბათს, იანვრის 13-ს მეექვსედ ბერდო—ზმანია

პირველად შაბათს, იანვრის 15-ს

მარიამ მაგდალინელი

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მიზანსცენებით

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები კასაში.

საიუბილეო წარმოდგენა

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის

სახალხო სახლი

სახალხო სახლთან არს ქართ. წარმოდგენების მმართველი წრე.
შაბათს, 15 იანვარს 1921 წელს

ელისაბედ (სოფიო) რომანიშვილი—დგებუაძისა
20 წ. სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავათ გაიმართება იუბილეი

წარმოდგენილი იქნება

ლალაჭი

დრამა-ლეგენდა 5 მოქმედებათ ა. ი. სუმბათაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი: ბარათაშვილი, გოგოლაშვილი, რომანიშვილი დგებუაძისა, ნიბლია, ჩერქეზიშვილი. ბ-ნი: ნ. გოცირიძე, სალაყაია, ნ. ჯანკვეტაძე, ა. მეტრეველი, გ. მინდიაშვილი, ალ. თავდგირიძე, ი. ზურაბიშვილი მანშიაშვილი და სხვანი.

რეჟისორი კ. შათირიშვილი.

ზეინაბის როლს შეასრულებს ს. რომანიშვილი-დგებუაძისა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

აცხადებს მწერალთა საყურადღებოთ, რომ იგი შეუდგა სალიტერატურო ორგანოს

„სიტყვა ქართული“ს

პირველი ნომრის გამოცემას

წიგნი გამოვა თებერვალში. მასალები უნდა გამოიგზავნოს სარედაქციოდ: თბილისი, თავისუფლების მოედანი, მწერალთა კავშირი (სასტუმრო „კავკაზი“)

სარედაქციო კოლეგია
კოტე მაყაშვილი,
ს. აბაშელი
[illegible]
ტიციან ტაბიძე.

1—3—1

იანვრის 7-დან ქ. ქუთაისში გამოვ. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოველდღიური გაზეთი

ეროვნულ-დემოკრატი.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წლისთვის ორკვირეული ჟურნალი.

წელიწადი მეორე „ერობა-“ზე წელიწადი მეორე

ორგანო ერობათა კავშირის კომიტეტისა. ჟურნალი მიზნათ ისახავს ერობის ცხოვრების თეორიული და პრაქტიკული საკითხების ყოველ მხრივ გარკვევა—გაშუქებას.

რედაქცია იმყოფება: რუსთაველის პრ. № 24 ერობათა კავშირის კომიტეტის ბინა. 8—1

სტუდენტთა კავშირის გამგეობა სთხოვს

სტუდენტებს

26 იანვრის

სტუდენტთა დღის

ჟურნალისათვის მოაწოდონ მასალა სტუდენტთა სასადილოში

განცხადება

მაქვს პატივი ამით ვაუწყო ერობათა, კოოპერატივთა, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს, რომ ჩემს მიერ გახსნილი იქნა ამა 1921 წლის პირველ იანვრიდან

სავაჭრო, საგენტო-საკომისიო
კონტორა
ა. ს. ლორთქიფანიძისა,

რომელიც მოთავსებულია დამფუძნებელ კრების ქ. № 5, მეორე სართულში, თბილისის კოოპერატივთა კავშირის გვერდზე.

მიღებულია შემდეგი საქონელი:

შაბიამანი ინგლისური საუკეთესო ხარისხისა;
ნიშადური (ნაშატირი) „ „
ხერხები—პირდაპირები გერმანული მარკისა;
კოჰის ძაფები;
ასანთი საუკეთესო ხარისხისა;
ხელის საპონები ოდესისა;
საკოსტუმო შალი და სხვა.

ფასები ყველა საქონელზე დანიშნულია მინიმუმი.

კონტორა ღია არის დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 ნახევარ საათამდე.

პატივისცემით ალ. ს. ლორთქიფანიძე.

3—3340—3.

გულდამწვარი გრიგოლ ლავრენტის-ძე ელიავა, მისი შვილები გოგი, ნინო ჩხეიძისა და მათი სიძე სიმონ ყარამანის-ძე ჩხეიძე ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. ბათომში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი, მეორეთა და და მესამის ცოლის და

ე ზ ა

1—1 3378

სახელმწიფო
ოპერა

სამშაბათს 11 იანვარს
„ქეთო და კოტე“
ოთხშაბათს 12 იანვარს
ბალეტი „კარნავალი“
ხუთშაბათს 13 იანვარს
ბოჰემა
პარასკევს 14 იანვარს
„სიმფონიური კონცერტი“
ბოროვსკის და ბელოუსოვის მონაწილეობ.
შაბათს 15 იანვარს
ოპერა მუშებისათვის
კვირას 16 იანვარს
აბესალომ და ეთერი
ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

უფლების რეჟიმისკენ.

ფაქტიურად ჩვენი მთავრობა უპასუხისმგებლოა თავის მოქმედებაში. ამ ორი წლის განმავლობაში ამის ბევრი მაგალითი იყო მოყვანილი, როგორც დამფუძნებელ კრებაში, ისე პრესაშიაც. უფლების და კანონიერების დარღვევისათვის, იგი არავითარ პასუხისმგებლობას არ განიცდის. მას ჰყავს თავისი დაზღვეული უმრავლესობა პარლამენტში და თავს არხეინად გრძნობს.

ამ მხრივ არსებითად არაფერია შეცვლილი ძველი და ახალი დროის შორის. წინედ მეფე და მისი ბიუროკრატია იყო მდგომარეობის ბატონი და თავისუფლად თვითნებობდა. ეხლა მთავრობა და მისი ფრაქცია იქცევა ასე. განსხვავება მხოლოდ ერთ გარემოებაშია, სახელდობრ იმაში, რომ ძველი რეჟიმის დროს თვით კანონები იწყნარებდნენ და აძლევდნენ სარბიელს ბიუროკრატიის „შემოქმედებას“ და მის თვითნებობას, მაშინ როდესაც ჩვენი წყობილების ძირითადი საფუძველი დამყარებულია ხალხის სუვერენობის პრინციპზე და ჩვენში მოქმედი კანონები სრულიად უარყოფენ ყოველგვარ უპასუხისმგებლო თვითმპყრობელურ რეჟიმს. ამგვარად ძველი რეჟიმის „უფლებრივი“ კალაპოტი და მისი პრაქტიკული განსახიერება ერთმანეთთან იყო შერიგებული და ფაქტი მათი ასეთი თანამშრომლობის ფსიხოლოგიურად უფრო ასატანი იყო ჩვეულებრივი მოქალაქისთვის.

ჩვენში რეჟიმი უაღრესად უფლებრივია, ხოლო მისი პრაქტიკული ცხოვრება ნამდვილი დერჟიმორდული და უპასუხისმგებლო. ამიტომაც ჩვენი სახელმწიფოებრივი ატმოსფერა მეტისმეტად აუტანელი გახდა. თუ უფლებრივ დეკლარაციებს და დაწერილ კანონებს აიღებთ, ჩვენი ქვეყანა უაღრესად დემოკრატიული ქვეყანაა. თუ სინამდვილეს აიღებთ—ბევრ რამეში აქ უფრო მეტია თვითნებობა, ვიდრე ძველი რეჟიმის დროს. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ჩვენში შექმნის მეტად სახიფათო ტრადიციას: აღმასრულებელი ხელისუფლებისა და უფლებრივი ნორმათა შორის გამუდმებული კონფლიქტის და პირველის მიერ ამ უკანასკნელთა დაბრყვების ტრადიციას.

ამგვარად ჩვენ ვცხოვრობთ თეორიულად ყველაზედ უფრო დემოკრატიულ და უფლებრივ ქვეყანაში, ხოლო პრაქტიკულად უუფლებობის და თვითნებობის მძიმე რეჟიმის ქვეშ! ეს სამწუხარო სინამდვილე მოიტანა ერთი პარტიის აბსოლუტურმა პოლიტიკურმა ბატონობამ. სოციალ-დემოკრატია, რომელსაც სიტყვიერად ყველაზედ უფრო მაღლა ეჭირა თავისუფლების დროშა, პრაქტიკულად მეტად მოურიდებელი და თვითნება გამოდგა მოქალაქის უფლებისადმი. ეს გარემოება აშკარად მოწმობს, რომ სოციალ-დემოკრატიის მმართველი წრეები თვით არიან მოკლებულნი უფლებრივი შეგნებას და სინდისს, აგრეთვე სახელმწიფოებრივ სიმწიფეს და ამიტომაც ვერ აჩერებენ მათთვის ეგზომ სანუკვარი უფლებრივი რეჟიმის დაცვა-განმტკიცებას. ამიტომაც აუცილებელია პირობა, რომ ჩვენში მართლაც და უფლებრივი წყობილება დამყარდეს, არის სოციალ დემოკრატიის მთლიანად აბსოლუტური ბატონობის შესუსტება. სწორედ ამ მხრივ არის დასაფასებელი ის განხეთქილება, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში ისახება, დეპუტატი ნინიძის ინციდენტის გამო. შესაძლებელია, ამ განხეთქილებამ დამფუძნებელ კრებაში შეჰქმნას ახალი ოპოზიციური ფრაქცია, და ისეთი ძალთა ურთიერთობა, რომ მთავრობამ და მისმა შემცირებულმა უმრავლესობამ ძველებურად ვერ გაბედონ თვითნებობა და უფლება-კანონის შელახვა. დეპუტატ ნინიძის ინციდენტმა რადიკალური განშორებაც რომ ვერ მოახდინოს მმართველ სოციალ-დემოკრატთა შორის,—იგი დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენში პარლამენტარიზმის დამყარებას იმითაც, თუ დამფუძნებელ კრებას შესძინა დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, ხოლო საქართველოს არსებულ პოლიტიკურ მიმდინარეობათ, დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, თუნდაც ისევ სოციალ-დემოკრატიული წარმოშობისა. ის რაც უნდოდა და რაც ვერ დაამყარა სოციალ-დემოკრატიამ, როდესაც იგი ქვეყნის უდავო მბრძანებლად გახდა, შეიძლება დამყარდეს მისი პოლიტიკური ჰეგემონიის ხარჯზე. ამგვარად, მთლიანი სოციალ-დემოკრატიის გაბზარვა და დასუსტება შეიქნება ნამდვილი საფუძველი ჩვენში უფლებრივი ურთიერთობის განმტკიცებისა, ისე როგორც ძველი ცარისტულ-ბიუროკრატიული ძლიერების შესუსტება იყო თავი და თავი პირობა რუსეთში მოქალაქობრივი რეჟიმის დასამყარებლად!

უფლებამ სინამდვილეში ერთნაირად მიუღებელი გახადა როგორც ცარისტული ბიუროკრატიის აბსოლუტური ბატონობა, ისე სოციალ-დემოკრატიული აბსოლუტური ბატონობაც. უფლება შეუძლებელია იქ, სადაც ერთი ძალა თვითმპყრობელურად ბატონობს; თუნდაც ეს ძალა სოციალისტური იყოს.

ნამდვილი უფლებრიობისაკენ მივყავართ არა მაღალ დეკლარაციებს, არამედ ძალთა ურთიერთობას და ხშირად პატარა შემთხვევით მოვლენებსაც... ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება ერთი ამგვარი მოვლენის წინაშე დგას.

პრესა.

„ახალი სხივი“ კვირის ნომერში თავის მეთაურ წერილში ასე ახასიათებს სოციალ დემოკრატიულ პარტიას წერილში. „მოხელეთა კორპორაცია თუ სოც.-დემოკრატიულნ პარტია.“

წერილში მოყვანილია ბევრი ფაქტები, რომ მართველი პარტია გადაიქცა მოხელეების ფაბრიკათ და თავდება ასე:

მუშათა კლასი უკვე ეჭვის თვალით უყურებს იმ მეთოდებს, რომლითაც მთავრობა და „გაჩინოვნიკებული“ ჩვენი პარტია სარგებლობს. მუშების მოწინავე ნაწილში უკვე დაისვა პრაქტიკული საკითხი, სოც.-დემოკრატიული პარტიის განჯანსაღება.

და აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ძველი პარტიული ამხანაგები, ნამდვილი მუშები და არა „კაზიონი“ ხალხი, რომელნიც მხოლოდ სახელწოდებით არიან მუშები და არასოდეს არ შეუქმნიათ და ახლაც არ ქმნიან არავითარ ღირებულებას,—სწორედ მუშების საუკეთესო ნაწილი იზიარებს „ახალი სხივის“ პოზიციას.

მათ არ მოსწონთ ბოლშევიკური კომუნისტურ ჰიპერტროფია, მაგრამ მუშათა კლასი ვერ ურიგდება ვერც მენშევიკურ იმპოტენციას. ისინი გამოსთქვამენ მტკიცე სურვილს დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ პარტიულ მუშაობას, ნამდვილ კლასიკური პარტიის შექმნას, არსებულ მოხელეთა კორპორაციის სრულ გარდაქმნას და ჭეშმარიტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღდგენას. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება განვითარდეს თავისუფალი და დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატიული აზრი. იქნება ამისთვის დაგვჭირდეს ახალი ფორმის გამონახვა, ერთგვარი გადამიჯნვა, მაგრამ თუ ამას საქმე მოითხოვს, თუ ეს აუცილებელი შეიქმნება, მაშინ სათანადო ნაბიჯიც უნდა იქნეს გადადგმული.

დიადი საქმე მოითხოვს მტკიცე და გაბედულ მოქმედებას.

მეტი მზრუნველობა.

დიდი დავა და კამათი იყო და კიდევ არის სხვა და სხვა საქონლის მონოპოლიებზე. შეიძლება ვისმეს უცოდველად მიაჩნდეს მართველი პარტია მონოპოლიის საკითხში, მაგრამ მთელი ხალხისათვის და ყველა მათთვის, ვისაც ხალხთან საქმე აქვს, დღეს ნათელია, რომ მონოპოლიის წესებმა ჩვენი ნორჩი მრეწველობა დააზიანა. მე შევჩერდები ეხლა მატყლზე, რომლის წლიური მოსავალი ნორმალ პირობებში 200,000 ფუთს უდრის, აქედან დაახლოვებით 50—60,000 ფუთი შინ მუშავდებოდა, და დანარჩენი 130—140.000 ფუთი უცხოეთში გადიოდა ყოველ წლივ. 1917 წლიდან კი ჩვენი ექსპორტი შეწყდა. 1918 წელს გავიდა გერმანიაში უმნიშვნელო რაოდენობა. ერთი სიტყვით 1919 წლის დამლევს და 1920 წლის დამდეგს ჩვენს ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო ყოველ შემთხვევაში ორი ან წელნახევრის მარაგი მატყლისა. ჩვენ ვანგარიშობთ ყველა რაიონებს და ყველა ხარისხებს. წელ ნახევრის მარაგი უდრის 300 ათასი ფუთს. ვთქვათ ეს დიდი ციფრია. ვთქვათ, რომ 1917 წლიდან 1920 წლის იანვრამდე შიგ დაგროვილი მატყლი სულ მცირეს უდრიდა. იგი ერთი წლის მოსავლის რაოდენობას ხომ ვერსად ჩამორჩებოდა. სულ მცირე რომ ვთქვათ. მაშასადამე 200.000 ფუთი მატყლი მაინც უნდა გვქონოდა. მომარ. სამინისტროს 1919 წლის ნოემბრიდან 1920 წლის დეკემბრამდე ეს მატყლი უნდა შეეკრიბნა, თუ მონოპოლიის წესები მართლაც კარგათ შეეწყობა მწარმოებელთა და სახალხო მეურნეობის ინტერესებს.

მომარ. მინისტრი აცხადებს, რომ მან შეჰკრიბა მხოლოდ 60.000 ფუთი, ე. ი. ცოტა მეოთხედზე მეტი იმისა რაც სამინისტროს უნდა შეეკრიბნა, თუ მატყლის რაოდენობას სულ მინიმალურს ვიანგარიშებთ.

აქედან ცხადია, რომ მწარმოებელთ მატყლი სამინისტროსთვის არ მიუციათ; ან გადუნახავთ ან განზე გაუყიდნიათ. ფაქტია, რომ თბილისში კერძო პირები „სპეკულიანტები“ მატყლს ჰყიდდნენ. ფაქტია, რომ სოფლის გლეხები, და თემთა წარმომადგენელნი მთავრობის საწყობში მატყლს სულ ვერ შოულობენ და კერძო პირთაგან კი ჰქონდათ წინადადებები. მაშასადამე, მწარმოებელთათვის მონოპოლიის წესები იმდენათ მიუღებელი ყოფილა, რომ ისინი არჩევენ მატყლის სხვაზე გაყიდვას თუ გადანახვას და ყოველ შემთხვევაში მატყლს სამინისტროს არ აძლევდენ. ეს უდავო დასკვნა მინისტრის განცხადებისა და სინამდვილის ობიექტიურ პირობებისაგან.

მაგრამ ვსთქვათ, რომ სამინისტრო აქაც მართალია და მონოპოლიის წესები და ტეხნიკა მიზანშეწონილია როგორც მმართველნი ამტკიცებენ.

გაზ. „ერთობა“ № 285 აღწერს თუ რა საშინელი სპეკულიაციაა თბილისში მატყლზე და როგორ მოტყუებულნი რჩებიან სოფლის მწარმოებელნი და თვით თემების წარმომადგენელნი. სამინისტროს მიერ მიღებული მატყლი ვერ აღწევს დანიშნულებას. სამინისტრო მას ვერ ანაწილებს მწარმოებლებზე ვერც რაოდენობისა და ვერც ფასების მიხედვით.

უეჭველია, რომ რთვა ქსოვას ჩვენში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, და მას ავრცელებს ხალხში ყოველი კულტურული დაწესებულება: თემი, ქალაქი თუ ბანკი. მთავრობაც ვალდებულია მას ყოველის მხრივ დაეხმაროს. დახმარება კი მატყლის მოწოდებას ჰგულისხმობს. თუ თემებისა და ქალაქთა წარმომადგენელნი მატყლს ვერ შოულობენ თბილისში, სადაც მომარ. სამინისტრო იმყოფება; თუ ისინი ვერ აჩერებენ მატყლის მიღებას მთავრობის საწყობიდან, როგორც ეს მოთხრობილია „ერთობაში“, ბრძანეთ, ბატონებო, როგორი ბედი ეწევა უბრალო გლეხთ!

კიდევ უარესი. იგივე ერობათა თუ ქალაქთა წარმომადგენელნი, გაწბილებულნი მთავრობისაგან, მატყლს შოულობენ. მაგრამ კერძო პირებში და იმ პირობით, თუ ფუთში 800 თუმანს გაიღებდენ. ეს „მონოპოლიის“ დროს!

ეს ფაქტი ურღვევია, რადგან მე მაქვს ხელთ წერილობითი საბუთი სენაკის მაზრიდან, და მას „ერთობაც“ არ უარჰყოფს.

მაშასადამე, მონოპოლიის წესი საჭიროებს გადახედვას და ტეხნიკა და საქმიანობა გაუმჯობესებას. იგივე მატყლის ნაკლულოვანება და წარმოების შეუფერხებლობა მოთხოვნილებასთან მიზეზია იმისა, რომ რთვა ქსოვა ჩვენში თანდათან ფუჭდება და მცირდება. აი, მაგალითიც.

სენაკის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება კეთილ მაგალითს და სასარგებლო ცოდნას აძლევდა ყველას თავისი საქსოვ ქარხნით. წელს ისე როგორც წინადაც მან მიმართა თხოვნით შინა მრეწველობის განყოფილებას გაეგზავნათ მისთვის ძაფი, რაზედაც შემდეგი პასუხი მიუვიდათ: „შინა მრეწველობის განყოფილება ამით გაცნობებთ, რომ გასაყიდი ძაფი არა აქვს და ამიტომ მოთხოვნილ ძაფის მოცემა არ შეუძლია“.

უძრავოთ რჩება სენაკთან ერთად მრავალი სხვა დაბა—ქალაქების საზოგადო თუ კერძო საქსოვი ქარხნები.

უკანასკნელთა გამოყენების წილ ჩვენ მათ ვაცლით ხელიდან უკანასკნელ მასალასაც კი. ამით ჩვენ მათ ჯერ ვაჩერებთ და შემდეგ ვსპობთ. ასეთი მუშაობა კი მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება. იგი დამაზიანებელია მთელი სახალხო მეურნეობის იმ დარგისა, რომელსაც შეუძლია მისცეს სახელმწიფოს 7 მილიონ ნახევარი არშინი ნაქსოვი შალი, ე. ი. უზრუნველ ჰყოს ხალხის მოთხოვნილების უმეტესი ნაწილი. (ჯარი გვარდია და სხ.)

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს და მწარმოებელთ ის მაინც არ მოაკლდეს, რაც ჩვენ შინვე მოგვდის: მატყლი და ძაფი.

ამიტომ საჭიროა მეტი მზრუნველობა სახალხო მეურნეობისათვის.

ტ. მარგველაშვილი.

უცხოეთში

უცხოეთის ვაჭრობა-მრეწველობა.

ბრინჯის ექსპორტი

23 ნოემბერს ქ. წ. ბრინჯის მწარმოებლებმა ესპანიაში გაუგზავნეს დელეგაცია ფინანსთა მინისტრს თხოვნით, აეხსნა მას საექსპორტო ბაჟი ბრინჯზე (20 პეზეტას ყოველ ას კილოზე). მინისტრმა აღუთქვა დელეგაციას საკითხის განხილვა მომარაგების მინისტრთან შეთანხმებით, თუმცაო, დაუმატა მან, მიუხედავათ ხსენებულ ბაჟისა 1920 წელს ნოემბრამდე უკვე გაიტანეს 40.000 ტონა ბრინჯი და წლის ბოლოს ექსპორტი 50 ათასს გადააცილებსო. ე. ი. ბრინჯის ექსპორტი 1920 წელს თითქმის გაუთანაბრდება 1915 წლის ექსპორტს, რაც უდრიდა 58 ათას ტონას.

ცემენტის ექსპორტი.

გერმანული „ვაჭრობა მრეწველობის გაზეთი“ 10 ნოემბერს აქვეყნებს ცნობას, რომ ცემენტის ექსპორტი გერმანიის მთავრობის მიერ განთავისუფლებულია ყოველგვარ შეზღუდვისაგან. ზომები მხოლოდ მიღებული შინაურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

სანოვაგის გაიაფება

ფრანგულ გაზეთებს ცნობები მოჰყავს შესახებ პირველ საჭიროების საგნების გაიაფებისა. ხორბალი დიდძალი დაგროვილი საწყობებში და ბირჟაზე უქმაყოფილებაა გაუყიდველობის გამო. პურის მოსავალი საუცხოოა და ამის გამო შაქრის ფასები უკვე დაეცა საფრანგეთში ყველგან. ფასები ეცემა აგრეთვე ამერიკასა და ინგლისში, რადგან მოსავალი პურისა, სიმინდისა, ქერისა და სხ. ძალიან კარგი იყო არგენტინაში და საუცხოო ავსტრიაში.

ოქრო-ვერცხლის გაიაფება

ევროპა-ამერიკის ბაზარზე 1920 წლის ბოლო ორ თვეში გაიაფდა ოქროც და ვერცხლიც. მიზეზათ ასახელებენ როგორც კონტინენტის ისე ინდოეთის წინადადებათა სიმრავლეს.

სპარსეთის ნავთი

სპარსეთში ნავთის წარმოება ძალიან ვითარდება. 1916 წელს ნავთის ნაწარმოები უდრიდა 834.490 ტონას, 1917 წ. 953.550 ტონას; 1918 წ. 1001.310 ტონას და 1919 წ. 1390.800 ტონას ეს უკანასკნელი ციფრი უდრის 1,78 პროცენტს მსოფლიო წარმოებისას.

შაქრის მოსავალი მარტინიკზე

ანტილების კუნძულ მარტინიკზე 1919 წ. მოვიდა 19 ათასი ტონა შაქარი 25 მილიონი ფრანკით ღირებული. 1912 წელს ანგარიშობენ 30 მილ. ფრანკისას. რომის მაგიერ გახშირდა შაქრის მზადება.

დეპეშები.

ფრანგული ცნობები.

პარიზის ბირჟის კურსი.

ლონდონი. 6 იანვ. 1921 წ. ლონდონი—64. 24, ნიუ-იორკი 16—63, გერმანია—23 ნახ., ბელგია—105 1 მეოთხედი, ესპანეთი—220, იტალია—58 ნახ., პრაგა—18 5-მერვედი, რუმინეთი—21 3 მეოთხედი, შვეიცარია—256 ნახ. ვენა—3 5 მერვედი;.

ინგლისი და საფრანგეთი.

„პტი-პარიზიენი“ აღნიშნავს, რომ არასოდეს დამოკიდებულება საფრანგეთსა და ინგლისის შორის არ ყოფილა ისეთი მეგობრული და ნდობით აღსავსე. როგორც ახლა და რომ უმაღლეს საბჭოს სხდომა ხელსაყრელ პირობებში გაიხსნება. ინგლისის საზოგადოებრივი აზრი არ არის კეთილად განწყობილი გერმანიის პრეტენზიების მიმართ და საფრანგეთთან ერთად ენერგიულად მოითხოვს ვერსალისა და სპაის ხელშეკრულებათა განხორციელებას. იმ ორგანოების გარდა, რომლებიც ჩვეულებრივად იცავენ საფრანგეთის პოლიტიკას, როგორიც არის „ტაიმსი“, „დეილი ტელეგრაფი“, „მორნინგ-პოსტი“, ახლა „დეილი ნიუსი“ც კი გარკვეულად აღიარებს საჭიროებას გერმანიის სამხედრო პოლიციის გაუქმებისას. დასასრულ თვით ბოლშევიკური „დეილი გერალდი“ც იმ აზრისაა, რომ ფერენბახის კაბინეტი განიარაღების საკითხში პანგერმანისტულ რეაქციონერ პოლიტიკას აწარმოებს. თვით გერმანიაში დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრი ეთანხმება ინგლისის თვალსაზრისს. მუშათა წრეები და მათი წარმომადგენლები რეიხსტაგში, დამოუკიდებელი სოციალისტები, სოციალისტური უმრავლესობა და თვით კათოლიკეთა სინდიკატების ზოგიერთი დელეგატებიც ერთსულოვნად მოითხოვენ პრუსიისა და ბავარიის სამოქალაქო გვარდიათა გაუქმებას, ვინაიდან ამ გვარდიაში აღნიშნული პარტიები მხოლოდ მონარქიულ რეაქციის იარაღს ხედავენ. გერმანიის განიარაღება უნდა მოხდეს რაც შეიძლება მოკლე დროში, და ეს უნდა მოხდეს თვით გერმანიის ხალხის დასაკმაყოფილებლად.

მთავრობის კაბინეტი საფრანგეთში

საფრანგეთის პრესა უარყოფს ამბებს თითქოს ლეიგს განზრახვა ჰქონდეს დეპუტატთა პალატის სესიის განახლებამდე შეიტანოს წინადადება კაბინეტის გადადგომის შესახებ. „ფიგარო“ გარკვევით აღნიშნავს, რომ ამ ჟამად კაბინეტის ცვლილებაზე ლაპარაკი უადგილოაო.

ზემო სილეზია

— მოკავშირეთა კომისიამ გამოსცა დეკრეტი, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ზემო სილეზიაში პლებისციტის საქმე.

აჯანყება ჩრდილოეთ კავკასიაში

ფრანგული პრესა აღნიშნავს კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთის მთებში დაწყებულ აჯანყების განვრცობას. აჯანყებას იმამ-შამილი მეთაურობს. აჯანყება ბოლშევიკებს ჯერ ჯერობით 4.000 კაცი, 100 ტყვიის მფრქვეველი და 6 ზარბაზანი დაუჯდათ.

დანუნციოს მისვლა ფიუმედან

პარიზი 8 1. 1. 1921 წ. ლეგიონერთა მეთაური [illegible], რომელშიაც თვით დანუნციოც იმყოფება ხუთშაბათს ქალაქი ფიუმე დატოვა. ქალაქში სიმშვიდეა. გაზეთები იუწყებიან: იტალიის მთავრობამ არ დართო ნება იტალიაში შემოსვლისა, რუს კომუნისტებს ზინოვიევსა, ბუხარინსა და ბალაბანოვასაო. უკანასკნელთა მიზანი იყო, იტალიის სოციალისტურ პარტიის კონგრესზე მონაწილეობის მიღება.

მარშალი ფოში.

პორტუგალიის [illegible] მრჩევლები, გაემგზავრენ პარიზში, რათა მარშალ ფოშს საპატიო ხმალი გადასცენ.

რეაქცია ბავარიაში

გაზეთი „ფორვერტსი“ იუწყება: ბავარიის რეაქცია მიმართავს ყოველ ზომას, რომ მოაწყოს სამოქალაქო გვარდია ბადენში და ამით ბავარიის თვალსაზრისს მეტი სიმტკიცე მისცესო. ყველამ იცის, რომ გენერალმა ვატერმა, რომელიც კაპის გადატრიალების, ერთი მთავარი მონაწილეთაგანი იყო, კალსრუეში სამოქალაქო ორგანიზაციის მოწყობა დაიწყო, მაგრამ, როგორც კი დაემუქრა მას ბადენის მთავრობა დაპატიმრებით, გენერალი უმალვე მიიმალა.

რადიო ტელეგრაფი

რვა იანვრიდან კერძო პირებს უფლება ეძლევათ, ისარგებლონ რადიო ტელეგრაფით, საფრანგეთისა და ველიკობრიტანიისა, და საფრანგეთისა და შეერთებულ შტატების შორის.

რუსეთის საკითხი უცხოეთში.

რუსეთის დამფუძ. კრების ცნობილ წევრებმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა და კადეტებმა ჩერნოვის თავმჯდომარეობით პარიზში კრებაა მოიწვიეს. კრებამ მიზნათ რუსეთის ღირსებისა და ინტერესების დაცვა საზღვარ გარეთ.

საბერძნეთი და მოკავშირენი.

საბერძნეთის დეპუტატთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში მეფე კონსტანტინემ გამოსთქვა მტკიცე სურვილი მოკავშირეებთან შეთანხმებულ მუშაობის შესახებ. საბერძნეთისა და სერბიის კავშირი არის გარანტია მშვიდობიანობის დასაცავად. მეგობრული დამოკიდებულება არის აგრეთვე საბერძნეთისა და რუმინეთის შორის.

გერმანია და ინგლისი.

თანახმად „ტანის“ მიერ მიღებულ ცნობებისა ბრიტანეთის მთავრობამ ორშაბათს გერმანიის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომლითაც იგი მოითხოვს გერმანიისაგან იმ საქონლის საფასურის გადახდას, რომელიც მან ინგლისში მიაწოდა. ნოტა იმუქრება: იმ შემთხვევაში, თუ გერმანიამ არ შეასრულა პირობა, ინგლისის მხრით სათანადო ზომები იქნება მიღებული, გერმანიის იმ საქონლის სალიკვიდაციოთ, რომელიც ინგლისში იმყოფება.

საფრანგეთის ვალიუტა

საფრანგეთის ვალიუტა ამერიკის შეერთებულ შტატებში უმჯობესდება. გაზეთი „ეკლერი“ ბეჭდავს განმარტებას რომელიც მისცა მას რამოდენიმე დღის წინ დამზღვევ საზოგადოების ფინანსიურ მრჩეველმა მასხონმა, საფრანგეთის ვალიუტის გაუმჯობესების შესახებ. ამერიკელები, სთქვა მან, ამჟამად დარწმუნებული იყვნენ, რომ საფრანგეთი არ არის იმდენათ ძლიერი რომ აიძულოს გერმანია ვერსალის ხელშეკრულებით თავის თავზე მიღებულ ვალდებულებათა შესრულებლათო. საფრანგეთის მთავრობის მტკიცე პოზიციამ დაანახვა ინგლისს, რომ საფრანგეთს სურს მიიღოს მთელი ის ანაზღაურება, რომელიც მას ერგება გერმანიისაგან. ამ პოზიციამ შეცვალა ამერიკელთა თვალსაზრისიც. იმათ ლონდონში მყოფ საინფორმაციო აგენტების საშუალებით მშვენივრად იციან, რომ ინგლისის მთავრობა იძულებულია დაუჭიროს მხარი საფრანგეთს, გერმანიის მიერ ზარალის ანაზღაურების საკითხში. ინგლისს დღევანდელ პირობებში არ შეუძლიან დაკარგოს საფრანგეთის დახმარება. სწორედ იმ გარემოებამ, რომ ამერიკელები დარწმუნებულნი არიან, რომ საფრანგეთი მიიღებს გერმანიისაგან იმას რაც მას ეკუთვნის გამოიწვია საფრანგეთის ვალიუტის გაუმჯობესებაო.

უმუშევართა რიცხვი ინგლისში.

თანახმად შრომის ბიუროს უკანასკნელ აღწერისა გასული წლის დეკემბრის 13, ინგლისში 628.273 უმუშევარი ყოფილა, რადგანაც ყველა მუშა არ ეწერება შრომის ბირჟაში, ამიტომ გაზ., „დეილი ქრონიკლი“ ანგარიშობს უმუშევართა რიცხვს ერთ მილიონამდის.

საფრანგეთი და რუსეთი.

საფრანგეთის საგარეო მინისტრი იძულებული იყო გამოერკვია საბოლოოდ საფრანგეთის პოლიტიკა საბჭოთა რუსეთის მიმართ. დეპუტატ კაშენის საპასუხოდ საგარეო მინისტრმა განაცხადა: 1) ხარჯი, რომელიც გაიღო საფრანგეთმა რუსეთის საქმეებში, შეადგენს არა რამოდენიმე მილიარდს, როგორც ამას ამტკიცებენ, არამედ რამოდენიმე ასეულ მილიონ ფრანკს, 2) რუსეთის ბლოკადა არ არსებობს, 3) კერძო პირები თავისუფალნი არიან დაიკავონ სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთთან, მაგრამ ამაში მთავრობა არ იქნება პასუხის მგებელი, 4) საფრანგეთის მთავრობა არ ფიქრობს ალიაროს საბჭოთა რუსეთი მანამ, სანამ უკანასკნელი არ მისცემს მას გარანტიებს, რომ იგი შეუფარდებს თავის მოქმედებას არსებულ უფლებებს და შეასრულებს წინა მთავრობების მიერ მიღებულ ვალდებულებებს, 5) გენ. ვრანგელის მიერ შედგენილი ფაქტიურად მთავრობა აღარ არსებობს იმ ხნიდან, როდესაც მან დატოვა დაკავებული ტერიტორია, 6) საფრანგეთის მთავრობა, რომელიც ყოველგვარ აგრესიულ პოლიტიკას წინააღმდეგი არის და ანგარიშს უწევს მოკავშირეთა მეთაურების კონფერენციის დეკლარაციას, წარსული თებერვლის 24 რიცხვიდან, დაკმაყოფილდება იმ ერების დახმარებით, რომლებსაც მოსკოვის მთავრობა თავს ესხმის, საფრანგეთი მომავალშიაც გაუწევს დახმარებას იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც დასჭირდებათ ბოლშევიკებისაგან თავისი ტერიტორიისა და თავისუფლების დაცვა.

მოკავშირეთა კონფერენცია.

ინგლისისა, ბელგიისა და იტალიის მთავრობები დაეთანხმენ საფრანგეთის მთავრობას, რომ მოკავშირეთა კონფერენცია შედგეს პარიზში იანვრის 19.

საფრანგეთში.

„ფორტ ნაიტლი რივიუ“-ში დაბეჭდილია ჯონ ბელლის დიდი წერილი რომელშიაც იგი აღნიშნავს საფრანგეთის მიერ გაწეულ იმ დიდ შრომას, რომელიც მან მოანდომა ომისაგან დანგრეულ ოლქების აღდგენას. ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ საფრანგეთი, რომელიც გერმანიის სრულ განიარაღებას მოითხოვს, არავითარ იმპერიალისტურ მიზნებს არ ისახავსო. საფრანგეთს, სურს იყოს უზრუნველყოფილი გერმანიის სამხედრო ძალისაგან, ისე როგორც ინგლისი არის უზრუნველყოფილი გერმანიის სამხედრო ფლოტისაგან.

— ერფურტი. იპოვეს იარაღის დიდი საწყობი. დაპატიმრეს ორი კაცი, რომლებიც წინეთ თოფის წამლის საკეთებელ ქარხანაში მუშაობდენ.

— ბოხუმი. მემაღაროეთა ოთხმა კავშირმა მიმართა რურის მემაღაროეთ მოწოდებით, სადაც ისინი სთხოვენ მაღაროს მუშებს, რომ საყოველთაო გაფიცვა არ დაიწყონ.

დახმარება ავსტრიას

საფრანგეთის მთავრობამ მიანდო ტანზს გამოარკვიოს თუ რისი გაკეთება შეიძლება, რომ დახმარება გაეწიოს ავსტრიას.

გერმანიის მდგომარეობა

კონგრესზე ერცბერგერმა განაცხადა, რომ გერმანიის მდგომარეობა 1921 წელს უფრო უარესი იქნება, ვიდრე უკანასკნელ 6 წლის განმავლობაში.

საფრანგეთი და ამერიკა

საფრანგეთის მთავრობამ დეპეშით აუწყა ვაშინგტონის მთავრობას, რომ მას არავითარი სურვილი არა აქვს რურის ხეობის ხელში ჩაგდებისა, მაგრამ იგი უფლებას იტოვებს მოსთხოვოს გერმანიას ვერსალის ხელშეკრულების ძალით მასზე დადებული ვალდებულებათა ასრულება. ამგვარათ საფრანგეთის მთავრობა უარყოფს იმ ყალბ ცნობებს, რომელსაც შეერთებულ შტატებში ავრცელებენ გერმანიის აგენტები.

ბოლშევიკური ინკვიზიცია.

კონსტანტინეპოლი. „ჟურნალ დ'ორიანტი" სწერს: კონსტანტინეპოლში სევასტოპოლიდან მოვიდა იტალიის გემი, რომელმაც ყირიმში ბოლშევიკებს საქონელი მოუტანა. გემის ეკიპაჟს, მაშინ როდესაც გემი სევასტოპოლს უახლოვდებოდა საშინელი სურათი წარმოუდგა: მალის გასწვრივ იდგა სახრჩობელები, რომლებზედაც ჩამოხრჩობილთა გვამები ეკიდა. ბნელ ღამეში იტალიის გემზე გაიპარა ორი რუსი, რომლებიდანაც მატროსებმა გაიგეს შემდეგი: პირველად ბოლშევიკები მხოლოდ მძარცველებს სდევნიდნენ, შემდეგ სევასტოპოლში დარჩენილ მოხალისეებს და ოფიცრებსაც დაუწყეს დევნა. დაარსეს ორი ჩრეზვიჩაიკა. პირველად ყველისა დაატუსაღეს მთელი შემადგენლობა დემოკრატიულ კომიტეტისა, რომელიც არჩეული იყო წესიერების დასაცავად ქალაქის ბოლშევიკებზე გადაცემის დროს. შემდეგ დაიწყეს რეგისტრაცია მცხოვრებლებისა, რომლებსაც სთხოვდნენ პასუხს შემდეგ კითხვაზე: სად იმყოფება 1917 წლიდან, ხელობას და ჰყავს თუ არა მას ნათესავი რუსეთის არმიაში; ყოველი მობინადრის სწორ პასუხზე მთელი სახლი ეთვლებოდა პასუხის მგებლად. ქალაქის მცხოვრებლები ინგლისის ტანისამოსში გამოწყობილი დაატუსაღეს. იპიროვეკ ქუჩაზე აგრეთვე ჯარში გასაწვევ წლოვანებს. ატუსაღებდენ იმ პირებს, რომლებსაც დენიკინისა და ვრანგელის დროს ჰქონდათ მიცემული მოწმობები. მცხოვრებთა დასაშინებლად დახვრეტა ჩამოხრჩობით იყო შეცვლილი. ამ მიზნისთვის ბოლშევიკებმა გამოიყენეს ბაღში არსებული ხეები და ეკატერინის ქუჩაზე ტელეგრაფის სვეტები. ოფიცრებს ახრჩობდნენ მუნდირებში. ჩამოხრჩობილთა შორის იყო ქალებიც. სულ სამი ათასი კაცამდე ჩამოახრჩეს. ბოლშევიკების მეტონობის რამოდენიმე დღის შემდეგ მუშებში დაიწყო ზრდა, მათ წინააღმდეგ მიმართულმა, მტრულმა განწყობილებამ რასაც თვითური ჯამაგირის შემცირებამაც შეუწყო ხელი. მიტინგზე, მიუხედავად ბოლშევიკების ყოველგვარ ცდისა, მენშევიკების რეზოლიუციებს ღებულობდენ. პეტროპავლოვის ქარხანაში, გაფიცვის დროს, თორმეტი ტყვიის მფრქვეველი აღმოაჩინეს, რის შემდეგაც დაიწყო რეპრესიები ამ ქარხნის მუშების წინააღმდეგ. ქალაქის მმართველობა მოთავსებულია კომენდანტის ხელში, რომელიც ამავე დროს არის სარდალი მეცამეტე არმიისა და ფლოტისა. ბაზარი სრულიად დაცარიელებულია, გირვანქა პური 2500 მან. ღირს. სოფელთან არავითარი კავშირი არ არსებობს. პურის ბარათებით მცხოვრებლებს სულზე გრთ. მეოთ. გირვანქა პურს აძლევენ.

აფეთქება პეტროგრადში

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება: თანახმად რეველიდან მოსულ სარწმუნო წყაროებისა, პეტროგრადში მოხდა მძლავრი აფეთქება, რომელმაც წყალსადენი მილები დაანგრია. მცხოვრებლებს წყალი აღარ აქვთ. გადამდები სნეულებანი კვლავ მოედო მცხოვრებლებს.

გერმანული ცნობები.

საოკუპაციო ხარჯები.

იუწყებიან: რომ საფრანგეთის მთავრობას აწუხებს ის დიდი ხარჯები, რომლებიც საჭიროა საოკუპაციო ჯარების შესანახად. ეს ხარჯები მძიმე ტვირთად ედება გერმანიას და ამგვარად ფერხდება ანაზღაურების საქმე. ფიქრობენ, რომ ეს საკითხი განხილული იქნება ბრიუსელის კონფერენციაზე. განსაკუთრებით დიდ ძალი ფული იხარჯება ამერიკის ჯარზე. კობლენცში მყოფმა სარდლობამ აუწყა ამერიკის ჯარის წარმომადგენელს, რომ 14,000 კაცის შენახვა ყოველდღიურად 80,000 დოლარი ჯდება, რაც საფრანგეთის ჯარის ხარჯებს აღემატება. ამერიკის ჯარის შენახვა, როგორც ამას წინეთ ამის შესახებ ვაშინგტონიდან იუწყებოდენ, ჯდება 263,474,000 დოლარი; ბრიტანეთის — 51.009,000 გირვანქა სტერ., საფრანგეთის—2 მილიონზე ცოტა მეტი. ბელგიის 315.000,000 ფრანკი იტალიის 15.207,000 ლირა.

რუსეთის ცნობები.

მსოფლიო რევოლიუციის მარი

საფრანგეთის ახლად დაარსებული კომუნისტური პარტია თავის მთავარ ორგანო „ჰუმანიტეში" მოთავსებულ წერილში „ახალი საზღვაო შეიარაღებანი" სათაურით სწერს: ახალი წელი ნამდვილ ჰაოსში იწყება, მუდმივი მუქარა ომისა და სამხედრო შეიარაღების ძლიერება—ასეთია სურათი.—აღნიშნავს რა რომ ამერიკა გარდინგის მეთაურობით იქნება ერთი უძლიერესი სახელმწიფო თავისი ფლოტით, რომ იაპონია მუშაობს ჩუმათ სამხედრო გემების რიცხვის გამრავლებაზე, და აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ ეკონომიური კრიზისის გამო ინგლისს არ შეუძლია გაუწიოს მეტოქეობა თავის მოპირდაპირეთ, „ჰუმანიტე" განაგრძობს: ემზადება თუ არა ვაშინგტონი ინგლისთან საბრძოლველად თუ იაპონიასთან საომრათ ამ საკითხში, რომელიც ბოლოს და ბოლოს იქცევა ნავთის საკითხად, რომელიც აღელვებს მთელი ქვეყნის კაპიტალისტებს. წინეთ მსოფლიო ნავთის ბაზარი ამერიკის ხელში იყო, მაგრამ ახლა, როდესაც ინგლისმა წაართვა მას ძველი ბატონობა, ინგლისის მსხვილი კაპიტალისტები ოცნებობენ დაიკავონ პირველი ადგილი და უარს ეუბნებიან ამერიკელებს ფასების დაწევაზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვაშინგტონის მთავრობამ მისცა წინადადება ინგლისის მთავრობას მესოპოტამიაში შეთანხმებულ ოპერაციების წარმოების შესახებ. თანამედროვე კაპიტალისტურ წყობილებაში აქ იმალება ყოველგვარი მიზეზი კონფლიქტის გამოსაწვევათ. არა ნაკლებ სერიოზულია მეტოქეობა იაპონიისა და ამერიკის შორის, ამერიკას ეშინია იაპონიის სამხედრო ფლოტის თავდასხმის, ამიტომ იგი ყოველგვარ ზომებს იღებს თავისი ფლოტის გაძლიერებლად.

სერბიაში

დაიწყო მემამულეთა გაფიცვა, რომელიც სლოვენიიდან ბოსნიაში და გერცოგოვინაში ვრცელდება. მემამულეები მოითხოვენ ჯამაგირის გადიდებას თანახმად მუშების მიერ მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებისა, რომელიც რამდენიმე თვის წინად იქნა შემუშავებული.

— სტამბოლში მყოფმა საფრანგეთის წარმომადგენელმა დაატუსაღა გენ. სლაშჩევი მთელი თავისი შტაბით. გენერალ ვრანგელის წინააღმდეგ აგიტაციის წარმოება ბრალდება.

ბერლინში

უნგრეთის სახალხო კომუნისტების შესახებ გამოტანილ მსჯავრის პროტესტის ნიშნად ბერლინში მუშათა დიდი დემონსტრაცია მოხდა.

რუმინეთი და რუსეთი

მოსკოვი 10 1. პარიზში მყოფმა რუმინეთის ელჩმა განუცხადა პარლამენტის წევრებს, რომ რუმინეთი არ ფიქრობს საბჭოთა რუსეთთან ომის დაწყებას. რუმინეთის გაზეთები ამტკიცებენ, რომ რუმინეთის მთავრობას სურს რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყებამო.

საბჭოთა რუსეთში

მოსკოვი. 8 იანვ. ინგლისიდან რუსეთში დიდძალი ტანისამოსი, მედიკამენტები და სურსათ სანოვაგე გაიგზავნა. თანახმად პარიზიდან მოსულ ცნობებისა ბაღდადში მოჰკლეს ინგლისის პოლიციის უფროსი. მესოპოტამიის მცხოვრებთა უკმაყოფილება თანდათან იზრდება.

ინგლისის ეროვნულმა კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია სიმპატია ინგლისის სატუსაღოში გარდაცვლილ ქალაქ კორკის მოურავისა და დამოუკიდებელ ირლანდიის მიერ.

კომუნისტების დევნა

საფრანგეთის მთავრობამ კომუნისტების წინააღმდეგ მკაცრი ზომები მიიღო. დატუსაღებულია 10 კომუნისტი. მათ შორის ლორიო, სუვარინი, ბოტა და განო. პოლიციამ შემოიღო პასპორტების გასინჯვის ახალი წესი, რომლითაც სურს მას ებრძოლოს საფრანგეთის საზღვრებში ცალკე კომუნისტების შემოსვლას,

გაფიცვა შვეციაში

შვეციაში გემების მექანიკების გაფიცვა დაიწყო. მექანიკები ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვენ. გემების მიმოსვლა შეწყდა.

საფრანგეთის სოციალისტები

მოსკოვი. 8—1. საფრანგეთის სოციალისტების კონგრესზე კლარა ცეტკინმა სთქვა: მე მოვედი თქვენთან, რომ გაჩვენოთ, თუ როგორ ებრძვიან ძველი მებრძოლები ბურჟუაზიულ მთავრობის მიერ შექმნილ დაბრკოლებებს. მთელი ქვეყნის კომუნისტების ყურადღება ამ ჟამად თქვენსკენ არის მოქცეული. თქვენ უნდა მიიღოთ არა მარტო ტაქტიკა კომუნისტურ-ინტერნაციონალისა, არამედ უნდა მისდიოთ მის ორგანიზაციულ სისტემასაც. რაც უნდა მოსაწყენი არ უნდა იყოს ძველი ამხანაგების დატოვება თქვენ მაინც უნდა გამოეყოთ მათ, ვინც განაგრძობს ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან თანხმობით მოქმედებას. ეკონომიური აღდგენა შესაძლებელია, მხოლოდ კაპიტალიზმის დაცემის შემდეგ. ამისთვის არსებობს მხოლოდ ერთი გზა რევოლიუციონური ბრძოლა. ვინაიდან არც ერთ კლასს არ დაუთმია ნებით თავისი ძალა უფლება. თქვენ გაიმარჯვებთ ბურჟუაზიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მის ძალას თქვენ ძალას დაუყენებთ წინ. საფრანგეთის სოციალისტების მიზანი უნდა იყოს გერმანიის რევოლიუციის დახმარება, ვინაიდან არა გერმანიის ბურჟუაზიას, არამედ გერმანიის პროლეტარიატს აწევს მძიმე ტვირთად ვერსალის ხელშეკრულება. მხოლოდ საფრანგეთისა და გერმანიის პროლეტარების კავშირს შეუძლია მოსპოს... (დამახინჯებულია)... დასასრულ კლარა ცეტკინი იცავს რუსეთს და ამბობს, რომ რუსეთს ომის წარმოებას აიძულებს კონტრრევოლიუცია, რომელიც ყოველგვარ ზომას მიმართავს, რომ გაანადგუროს საბჭოთა რუსეთი როგორც.

ოსმალეთის პარტიზანები

ბათომსა და ტრაპიზუნდს შორის ოსმალეთის არმიის დეზერტირებისაგან შემდგარ მწვანე რაზმების მოქმედება გაძლიერდა. სტამბოლის გაზეთები იუწყებიან, რომ საბერძნეთის ჯარის ზურგში გაძლიერდა აჯანყებულთა რაზმების მოქმედება. პარტიზანთა მრავალი რაზმები იტაცებენ საბერძნეთის „ობოზებს" და სძარცვავენ ოსმალეთის ვაჭრებს.

[illegible] და საბჭოების შუა

ანგორის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ მიიღო კანონი ახალ საარჩევნო უფლების შესახებ. შემოღებული იქნება პრ. არჩევნები, სხვა და სხვა პროფესიებიდან: გლეხები. ფერშლები, მასწავლებლები და სხვა.

მოსკოვი. 9 იანვ. სტამბოლში წითელ არმიელების დაბრუნების გასაადვილებლად სხვა და სხვა პუნქტებში სანიტარული და სურსათ—სანოვაგის მიმწოდებელი ორგანიზაციები არსდება.

— ნიუ—იორკის გაზეთები იუწყებიან: მიუხედავად მარტენსის გაძევებისა ამერიკის მუშათა წრეებში ფართო მოძრაობა აქვს რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის სასარგებლოთ მაინც ვითარდება.

თანახმათ ინგლისურ გაზეთების ცნობებისა, საფრანგეთში რუსეთის თეთრ გვარდიელები ამერიკის მთავრობის დახმარებით კრებენ ოფიცრებს და ჯარის კაცებს ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მილიუკოვმა სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტის მოწვევის იდეაზე ხელი აიღო. იგი ესალმება აქსენტიევისა და კერენსკის მიერ განზრახულ ყრილობის მოწვევას.

სოფლადური კატეგორიები რუსეთში

მოსკოვი. „იზვესტია" იუწყება- რუსეთის სოფლის მდგომარეობა ასეთია: 1. სოფლის პროლეტარული ნაწილის შემადგენლობა შემცირდა, 2. ბურჟუაზიული წრე სრულიად გაქრა, 3. გლეხების უმეტესობას შეადგენს წვრილი მეურნეობის მესაკუთრენი.

ინგლისი და რუსეთი

ლონდონი. ინგლისის პრესა შემდეგს გადმოგვცემს: ინგლისის მთავრობის უკანასკნელი სხდომა როგორც სჩანს დაუდებს ბოლოს იმ მოლაპარაკებას, რომელიც სწარმოებს რუსეთსა და ინგლისის შორის სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. სხდომა რამოდენიმე საათს გაგრძელდა კაბინეტი ორ პარტიად გაიყო: ერთი მხრით ლოიდ ჯორჯი, ბონარ ლოუ და რობერტ ხორნი მომხრენი იყვნენ სავაჭრო შეთანხმებისა, მეორე მხარეზე იყვნენ კერზონი, ჩერჩილი, ლონგი და ბარკენხედი. ეს ჯგუფი დაჟინებით მოითხოვდა გარანტიებს რუსეთისაგან საქართველოსა, სომხეთისა და აზერბეიჯანის შინაურ საქმეში ჩაურევლობის შესახებ.

რ. ს. ფ. ს. რ. საქართველოში მყოფ სრულუფლებიან წარმომადგენელთან არსებულ ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენიდან.

ანგორის მთავრობა, ზანგეზური, ყარსი და ნახიჩევანი

სტამბოლი. დეკემბრის 20. გაზეთი „ილორი" იუწყება, რომ დიდი ეროვნული ყრილობის სხდომაზე საგარეო საქმეთა კომისარმა განაცხადა, ანატოლიის მიზანია მხოლოდ ოსმალეთის დამოუკიდებლობის დაცვა. რაც შეეხება ყარაბახსა, ზანგეზურსა და ნახიჩევანს, ეს ადგილები უნდა დასცალოს ჩვენმა ჯარმა მას შემდეგ რაც იქ საბჭოთა ლაშქარი შევიდა.

ა. ს. ფ. რ. საქართველოში მყოფი სრულუფლებიან წარმომადგენელთან არსებულ ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენიდან.

ერევანი. დეკემბრის 30. სახალხო მეურნეობის ჩესიერად წარმოების მიზნით და ბანკების სპეკულიაციის აღმოსაფხვრელად სომხეთის რევკომმა დაადგინა საბჭოთა სომხეთის საბანკო საქმეები გამოცხადდეს სახელმწიფო მონოპოლიად. ყველა არსებული რუსეთის სახელმწიფო ბანკების განყოფილებები, სხვა კერძო კომერციული ბანკები და საურთიერთო ნდობის საზოგადოებანი, საბჭოთა სომხეთში უერთდება სახელმწიფო ბანკს. წვრილ აქციონერთა ინტერესები დაცული იქნება. („ქზავარი").

სომხეთის ფული

ერევანი. იანვრის 5. სომხეთის რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა: საბჭოთა სომხეთის ტერიტორიაზე სავალდებულოა რ. ს. ფ. ს. რ. ფულის ნიშნების მიღება, რომელთა კურსი შემდეგნაირად არის განაწილებული: რ. ს. ფ. ს. რ. ერთი მანეთი, სომხეთის დაშნაკელთა მთავრობის ფულით ჰღირს 5 მანეთი, საბჭოთა სომხეთის მიერ გამოშვებული ფულის ნიშნები კი უდრის რ. ს. ფ. ს. რ. ფულის ნიშნების კურსს. („კუზავერ".)

ვალის გაუქმება.

სომხეთის საბჭოთა მთავრობამ გააუქმა დაშნაკელთა მთავრობის მიერ გამოცემული ყველა შინაური და საგარეო სესხი.

საგანგებო კომისართა ინსტიტუტის გაუქმება.

ა. ს. ს. რ. ტერიტორიაზე აზერბეიჯანის რევკომის ბრძანებით გაუქმებულია საგანგებო კომისართა ინსტიტუტი ლენქორანის მაზრის გამონაკლისით.

სომხეთ საქართველოს მოლაპარაკება.

ერევანი. იანვრის 3. საბჭოთა სომხეთის წარმომადგენელის ბეკზადიანის დეპეშის საპასუხოთ, საქართველოს მთავრობა წინადადებას იძლევა გაგზავნილი იქნას საგანგებო დელეგაცია სადავო საკითხების გადასაჭრელად.

ახალი ამბები.

სამინისტროში.

— იუსტიციის სამინისტროში. იუსტიციის სამინისტრომ დაამუშავა პროექტი სატუსაღოთა საქმეების გამგებლ ადგილობრივ პროვინციალურ საბჭოების დაარსების შესახებ. პროექტთან თანდართული განმარტებითი ბარათში საჭიროება ასეთი საბჭოების დაარსებისა სატუსაღოთა უფროსების გამგებლობაში არსებულ საქმეების სირთულით არის დასაბუთებული. ასეთი საბჭოები უნდა მოეწყოს რესპუბლიკის მთავარ ადგილებში: ტფილისში და ქუთაისში. საბჭოში შედიან: სატუსაღოს გამგე, მისი თანაშემწე, ექიმი, ინსტრუქტორი ბიბლიოთეკის გამგე და სხვა. საბჭოთა მოწყობისა და მოქმედების წესი განსაკუთრებულ ინსტრუქციით იქნება შემუშავებული.

სხვა და სხვა.

— სასურსათო საქმეები. ტფილისის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ 1921 წ. იანვრის პირველამდე გაცემული მოწმობა. იანვრის 10-დან ყოველგვარ ძალას კარგავსო.

— სასურსათო განყოფილებას მიერ მიღებულია იტალიისა და ამერიკის წარმოების კაცის ფეხსაცმელების დიდი პარტია. ფეხსაცმელები მიეცემა მცხოვრებლებს თითო თითო წყვილი. იტალიური ფეხსაცმელები იყიდება წყვილი—12.800 მან. ამერიკული კი 10.500 მანეთად.

ტფილისის სასურსათო განყოფილებისათვის ფოთში 30 ვაგონი შეშა არის დამზადებული, ჯუმათში 17 ვაგონი, 100 კუ. საჟენზე მეტი სოღუტ-ბულახის სადგურზე არის. შეშის თბილისში გადმოტანა შეჩერებულია ორთქლ შემადგენლობის ნაკლულოვანების გამო. თვითმართველობა გარდა ამისა ხეთის ავარაკშიაც შეუდგა შეშის დამზადებას.

— შრომის დაჯილდოება. სატარიფო პალატასთან არსებულმა შრომის დაჯილდოების ბიურომ განიხილა პროექტი თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთათვის ჯილდოს მიცემის შესახებ. პროექტში გათვალისწინებულია კოლექტიური და ჯილდოება იმისდა მიხედვით თუ რამდენი პაპიროსი დამზადდება განსაზღვრული ნორმის ზევით. სრულ ჯილდოს პირდაპირ მწარმოებლები იღებენ. 75 პროც. დამხმარე მუშები, და 50 პრო. კანტორის მოსამსახურენი. ეს პროექტი სატარიფო პალატის პლენუმმა უნდა დაამტკიცოს.

— სამთო სამმართველოში. იანვრის 11 დაიწყება მეცადინეობა სამთო სამმართველოსთან არსებულ სამთო ტეხნიკურ კურსებზე.

— სპილენძის მრეწველობა. სამთო სამმართველოში მიღებულია ცნობები, რომ დეკემბრის 29 განახლდა მოქმედება ქვანახშირის ქარხანაში. უკანასკნელი რესპუბლიკაში უდიდეს სპილენძის გამდნობ ქარხნად ითვლება. ყოველთვიურად იგი 7-10.000 ფუთ სპილენძს იძლევა. ამ დღეებში განაახლებს მუშაობას მეორე დიდი სპილენძის სადნობი ალავერდის ქარხანა, რომელიც კავკასიის ლითონის მწარმოებელთა საზოგადოებას ეკუთვნის. ქარხანაში 200000 ფუთის მადნის მარაგი იმყოფება. ქარხანა უმთავრესად სხვა და სხვა ქიმიურ პროდუქტების დამზადებას შეუდგება.

— ფ.—ტ. სამმართველოს განცხადება ფოსტა—ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველო აცხადებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ მას აქვს გასასყიდათ სრულიად ახალი ნავთით მამოძრავებელი „ბოლინდერის" სისტემის 80 ცხენის ძალის. ამ მამოძრავებელი შეძენის მსურველს ყოველ გვარი ცნობების მიღება შეუძლიათ სამმართველოს სატეხნიკო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპექტი № 43), სადაც შეიძლება აგრეთვე თვით მამოძრავებლის დათვალიერებაც დილის ათი საათიდან სამ საათამდე. ამასთან ერთად, სამმართველო აცხადებს, რომ მას ესაჭიროება 40—50 ძალიანი მამოძრავებლის შეძენა და იმ დაწესებულებას, რომელიც შეგვაძლებინებს ასეთის შეძენას მიეცემა, უპირატესობა „ბოლინდერის" ყიდვაში.

სამმართველოს უფროსი მეველაძე.

სახელმწიფო დრამის თეატრის სამუსიკო დარბაზში კვირას 16 იანვარს გაიმართება ნაძვის ხე მუშათა ბავშვებისათვის მიხ. მორდკინის ხელმძღვანელობით. ბავშვებს დაურიგდებათ პატარა საჩუქრებიც.. იქნება მუსიკაც. დღესასწაული დაიწყება სადამოს 5 საათზე. ბილეთებს ამ სალამოსთვის გამანაწილებს პროფესიონ. კავშირთა საბჭო.

— ახლო მომავალში გამოვა რუსულ ენაზე თბილისის ერობათა კავშირის კომიტეტის გამოცემა ს. ს. კონის თხზულება „Краткія основы общей теоріи статистики".

— პირდაპირ ვაგონები ფოთში. 6 იანვრიდან მატარებლებს № 3 თბილისიდან და № 4 ფოთიდან თან ახლდება 2 და 3 კლასის ვაგონები პირდაპირ ფოთში მიმავალი.

— ახალი საზოგადოება. ქ. თბილისში დაარსდა ახალი „სიძვირესთან მებრძოლი საზოგადოება". ინიციატორებს უკვე ჰქონდათ წინასწარი კრება, სადაც აირჩიეს საორგანიზაციო კომისია. საზოგადოების დევიზი: შეებრძოლოს სიძვირეს, რომელიც პირველი მიზეზია ჩვენი ვალიუტის დაცემის და ხელსაყრელი სპეკულიანტების და ბოლშევიკების თარეშის. პრაქტიკული ნაბიჯები: გახსნან სასწრაფოთ ფურნეები, საიდანაც გაიყიდება პური რამოდენიმე ათი პროცენტით ნაკლებ და სხვა სანოვაგე. ზარალის ასანაზღაურებლად საზოგადოებას ექნება საპაიო ფონდი საზოგადოებას აგრეთვე ექნება უპარტიო მიმართულების ორგანო „ჩვენი ხმა". არჩეულ იქნა სარედაქციო კოლეგია ვ. ჩლაიძის თავმჯდომარეობით. შემდეგ კრებაზე აირჩევენ გამგეობას და მიიღებენ წესდებას, რომელიც შემდეგ წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად.

საზოგადოებაში მრავლად ეწერებიან ქართველი კომერსანტები. სპეკულიაციაში შენიშნულს წევრად არ ღებულობენ.

მკითხველის შენიშვნები.

აკაკი შანავა. მოთხრობები, წიგნი პირველი. გამოცემა სახელოვნო ცენტრისა. ტფილისი 1920 წ. გვერდი 182, ფასი 300 მანეთი.

სიამოვნებით ვეგებებით ზემო აღნიშნულ წიგნის გამოსვლას.

ისე იშვიათად იბეჭდება ხოლმე ჩვენი მწერლების მოთხრობები, ან თუ იბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, იბეჭდება ისე ნაწყვეტ-ნაწყვეტათა და გაფანტვით, რომ ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის მოყვარულს საშუალება არა აქვს თვალ-ყური ადევნოს ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებთ და თავისი სამართლიანი მსჯავრი დასდოს მათ. ეს კი აუცილებლად საჭიროა, როგორც მწერლისა, ისე მკითხველი საზოგადოებისა თვისაც, ვინაიდგან, სიტყვაკაზმული მწერლობა, როგორც ერთ-ერთი დარგი ხელოვნებისა, მაჩვენებელია ჩვენის ცხოვრების ავ კარგიანობისა, მისი განვითარებისა, რწმენისა და იდეალისა.

სიტყვაკაზმული მწერლობა სარკეა ერის სულისა და ცხოვრებისა, კიბეა ცად ასასვლელად, საშუალებაა ტლანქისა და მატერიალურ ქვეყნის გრძნობათა დასათრგუნავათა და გასაფაქიზებლად.

ამ გარდამავალ ხანაში, მაშინ როცა ძველი ცხოვრება ძირიან-ფუძიანად ინგრევა და ისე გსთქვათ, ყოველგვარ ღირებულებათა შეფასება ხდება, ჩვენი ხელოვანები სამწუხაროდ ნაკლებად სჩანან სიტყვა-კაზმულ მწერლობის ასპარეზზე და თუ სჩანან, ან ალღო ვერ აუღიათ თანამედროვე ცხოვრებისათვის ან შესდგომიან მის შეფასებას ყალბი საზომით და დავიწყებიათ თუ განგებ უარუყვიათ რა ჩვენი კლასიკური მწერლობის ჰანგი და კილო, გადავარდნილან ისეთ უკიდურესობაში, რომელი უკიდურესობაც, ჩვენის აზრით, მოასწავებს ჩვენი მწერლობის დაქვეითებასა და, თუ გნებავთ, გადაგვარებასაც—კი.

იმის მაგივრად რომ უახლოესმა მწერლობამ მოგვცეს მართლა რაიმე ახალი, დაგვანახვოს რაიმე უკეთესი და უტურფესი, აღგვამაღლოს სულითა და გულით, დაგვავიწყოს წვრილმანობა ცხოვრებისა და დღიურ სიცხადით გამორონტებულებს, მოგვცეს უკეთესი იდეალი და სულთასწრაფვა, ერთის სიტყვით, იმის მაგივრად რომ გვავადამიანოს და გაგვაღმერთოს კიდეც, ჩვენი უახლოესი სიტყვაკაზმული მწერლობა გვაძლევს ან საანბანო და სადავო პოლიტიკურ ეკონომიურ მცნებებს (ევდოშვილი, გ. რუხაძე, მალაქიაშვილი, ზოტიკე და მათი დასის მწერლები, საზოგადოდ) ან ყოველივე სიწმინდეს ტალახში სვრის, ამახინჯებს ენასაც, გამოთქმასაც, გრძნობებსაც და პირდაპირ რყვნის მკითხველის,—ნამეტნავად ნორჩი და გამოუცდელი მკითხველის—გემოვნება გულის ნადებს. (გრ. რობაქიძე. ტ. ტაბიძე. პ. იაშვილი და მათი მიმდევარნი)

ამას არც არავის ნიჭის დასამცირებლად ვამბობ და არც, არავის საწყენად ამას გულისტკივილით აღვნიშნავ მხოლოდ იმ სამწუხარო ფაქტის დასანახვებლად, რომელსაც ვერ ხედავს და ვერ ამჩნევს ჩვენს ახალთაობას, ჩვენს მოწაფეობას დაშორებული ავტორიცა და მწერლობის მკვლევარიც. ეს ფაქტი გახლავთ ის გარყვნა გემოვნებისა, რომლითაც დაავადებულია ჩვენი მოსწავლეობა ქალები თუ ვაჟები. მათგან სრულიად მივიწყებულია ჩვენი ხალხური და (კლასიკების კილო ჰანგები, ხოლო გადარეულნი არიან იმ მახინჯ და არა ბუნებრივ ჰანგებითა და კილოებით, რომელსაც ხსე უპატრონოთა და უკრიტიკოდ ავრცელებენ ჩვენი უკანასკნელი დროის მოშაირეები და ნოველისტები.

შეიძლება ამას მოითხოვს [illegible] თვით ის რეაქცია, რომელიც თანა სდევს ხოლმე ყოველივე დაჭიმვას ძალისასა და ნებისყოფისას. ჩვენი მონური ცხოვრების ძარღვებიც დაჭიმულნი იყვნენ. ჩვენი საუკეთესო მწერლები მეცხრამეტე საუკუნისა, (ილია, აკაკი, ვაჟა) სულ „აღმართ-აღმართ მიდიოდენ," რომ მთის მწვერვალიდან მაინც დაენახათ მზე ქართველთა თავისუფლებისა. მათ მთელი თავისი ძალა და ღონე შესწირეს მიძინებული ერის სულის ასამაღლებელ პროგრამის შექმნას, მათ ხშირად ავიწყდებოდათ კიდეც ხელოვნება, როგორც ეგეთი და თავისი დიდი ნიჭი ხელოვნების მხოლოდ უტილიტარულ მხარეს შეალიეს, მაგრამ ეს მაინც იყო ერთგვარი აფექტი, ერთგვარი ძალუმი გამრძოლება მამულიშვილური სულისკვეთებისა. ამ გაბრძოლებამ, ამ სულისკვეთებამ, ამ „აღმართ-აღმართ სვლამ" გრძნობისამ უკვე დალეწა ჩვენი სულის მონობის უმთავრესი ტაძრები. მან და მხოლოდ მან ისტორიულ ქარცეცხლში გამობრძმედილმა ალღომ თავის დაცვისამ და მაზე ღაღადისმა დაახრჩო ჯიუტობა ყალბის მთქმელთა მწერლობაში დაყალბის მქმნელთა პოლიტიკაში; მან და მხოლოდ მან კვლავ შეაყენა ქართველთა საუკეთესო შვილები ეროვნულ გზაზე და აი აქ თავდება აფექტი, ძალთა დაჭიმვა, თავდება აღმართი და იწყება რეაქცია, დაღმართი, როგორც პოლიტიკასა, ისე მწერლობაში.

ჩვენის აზრით სოციალ-დემოკრატების ქადაგებანი საქართველოში (მე ვამბობ საქართველოში) იგივე „სიმბოლისტ-ფუტურისტობაა" პოლიტიკაში, როგორც ნამდვილი შეუსაბამო უკიდურესობაა ჩვენი „სიმბოლისტების" მოშაირობა ჩვენ სიტყვა კაზმულ მწერლობაში. თუ აკაკისა და ილიას ჰანგებს, მათ უაღრესს მამულიშვილობას, ხშირად შოვინიზმამდე მიჰყავდა მათ მიმდევართა გულისთქმა, („ნანა" ილიასი „ხანჯალი" აკაკისა) მამულის მოღალატეობამდე და ძველი, კლასიკური ჰანგების მკვლელობამდე ჩამოვიდა უკანასკნელი დროის პოლიტიკურ (ბოლშევიზმი საქართველოში) და ხელოვნურ (პირველ თქმა „ყანწებისა" და „ბარიკადებისა") დებულებათა ქომაგობა.

პირველ უკიდურესობას (ხელოვნება მხოლოდ ცხოვრებისათვის) მოჰყვა მეორე უკიდურესობა (ხელოვნება მხოლოდ ხელოვნებისათვის) „აღმართს" დაერთო „დაღმართი" თავშეუკავებლად დაგვეშვა ამ დაღმართზე და ამას კიდევ მოჰყვა ისეთი გაცხარებული პროწიალ-კოწიაწი რომელიც შეგაბრალებთ და შეგაცოდებთ ამ თავდაღმართზე დაშვებულთ.

თავის ერისა (და ამ გზით მთელი კაცობრიობის) საკეთილდღეოდ, ხალხის გონება ზნეობრივ ასამაღლებლათა და გასასპეტაკებლად, ნამდვილ თავისუფლებისა, სამართლიანობისა და კაცად-კაცადობის დასამყარებლად კი საჭიროა არა ესა თუ ის უკიდურესობა, არამედ ბუნებრივი განვითარება, ფიზიკური თანდათანობა, მედგარი ერთსულოვნობა და შეურყეველი თანამშრომლობა ყველასი ერთისა გამო და ერთისა ყველასათვის. ეს არის ჩვენის ღრმა რწმენით, ერთად ერთი გზა, როგორც სალი პოლიტიკისა, ისე ხელოვნებისათვის.

ან კი რა არის ხელოვნება?

ხელოვნება არის ერთ-ერთი საშუალება ხალხთა ურთიერთობისა. ხელოვნება არის ლამაზად დახატვა იმ ჭეშმარიტ გრძნობათა, რომელთაც განიცდის ესა თუ ის ხელოვანი.

ხელოვანია ის მწერალი და ხელოვნური ნაწარმოებია ის ნაწარმოები, რომელიც გვაგრძნობინებს განცდათა სისწორეს და დაგვისურათებს სწორედ იმას, რაც ხდება ცხოვრება, ან ოცნება — სიზმარეთში: არც მეტი არც ნაკლები!.

როცა ლექსი ისეთის ჩიქორთულითა და ისეთის კლიმანჭურებით არის დაწერილი, რომ ან ლექსიკონი უნდა ეძებოთ და ან თვით ავტორი—ლექსის ასახსნელად—ეს ლექსი კი აღარ არის, არამედ მარტოოდენ კალმის ცდუნება და ავტორის ცრუ მეშტვირობაა. ან, როცა მოთხრობის კითხვის დროს თქვენ სჭიმავთ თქვენ ტვინის ძაფებს, ჰზომავთ მთელი ცხოვრების სიგრძე-სიგანეს და კი ვერა გაგიგიათრა, ეს მოთხრობა კი არა, უბრალოდ დროს დაკარგვაა, ხოლო ასეთი მოთხრობის ავტორი კი ჯალათია და არა მწერალი!

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ-ჯერობით ყველაფერი პარტიული თვალსაზრისით ფასდება და ჯერ იმდენი მოქალაქეობა არა გვაქვს, რომ შავს შავი დავუძახოთ და თეთრს თეთრი—, ან დასაბუთების შემდეგ პირდაპირ და გადაჭრით დავიწყოთ, ან მოვიწონოთ რამე, არა საწყენათ, არა დასამცირებლად და ან ასამაღლებლად ვისიმე, არამედ საწვრთნელად ავტორებისა, დასაზოგავად დროისა და ქაღალდისა. ჩვენში მწერალი ხშირად პარტიულის ან მეგობრულ-მეზობლურ თვალსაზრისით იწონება-იწუნება და თვით ხელოვნება და მისი დანიშნულება კი თვალსა და ხელს შუა გვეპარება.

ჩვენებური კრიტიკა, ან უსამართლოთ ჰკლავს ხოლმე თუ იმ მწერალს, ან

უსაბუთოდ ჰსდაფნის მას და მწერლობა ჩვენი რჩება გაუცხრილავად, მწერლები ჩვენი რჩებიან დაუფასებლად *).

დრო კი არის, ბოლო მოეღოს ასეთს ყოფნას!.. მაგრამ ამისი გაკეთება ჩემზე უფრო გამოცდილებისათვის მიმინდვია.

ისედაც გრძელი წინასიტყვაობა მომივიდა, ბევრად გრძელი, ვიდრე თვით დასახელებულ მოთხრობების გარჩევა იქნება, მაგრამ არ შემეძლია ჩვენი აზრი არ გაუწყოთ თვით ხელოვნების გარეგან სახეზედაც, მის გამოთქმაზედაც.

როგორი უნდა იყოს ხელოვნური ნაწარმოები გარეგნულად, ფორმით და რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ამ გარეგნობას, ნაწარმოების შინაგან თვისებასთან:

ამის განსამარტავად დიდებული მცნება მოგვცა ქართველმა გენიოსმა ჯერ ისევ მეთორმეტე საუკუნეში და უკეთესიც არავის უთქვამს, თუმცა მას შემდეგ მილიონი ტომებია დაწერილი ხელოვნებაზე, და საზოგადოდ, ესტეტიკაზე.

ხელოვნური ნაწარმოები უნდა იყოს:

,,საღმრთო საღმრთოთ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი!‘‘

მორჩა და გათავდა! ამის გარეშე ხელოვნება უნაკლულო არ არის!.. ე. ი. ჭეშმარიტი ხელოვნური ნაწარმოები გარეგნულად, ენით, გამოთქმით, უნდა იყოს ,,საღმრთო—ამაღლებულის, კაზმულის, რჩეულის, კანონიერის, ღვთის საკადრისი სტილით დაწერილი, ხოლო შინაარსით კი იგი უნდა იყოს: ,,მსმენელთათვის დიდი მარგი‘‘, ე. ი. ჭკუის მასწავლებელი, ზნეობის გამაფაქიზებელი, გრძნობათა ამამაღლებელი, ხრწნილება—ბოროტების დამთრგუნველი... ერთის სიტყვით ყოვლად სასარგებლო (,,დიდი მარგი‘‘).

ამ დებულებაში ჩაქსოვილია თანამედროვე კრიტიკის ორივე სადავო საკითხი: ,,ხელოვნება ცხოვრებისათვის, თუ ხელოვნება ხელოვნებისათვის?‘‘

პასუხი ასეთია:

ხელოვნება არც მარტო ცხოვრებისათვის და ხელოვნება არც მარტო ხელოვნებისათვის, არამედ ორივესათვის —აი იდეალური ნაწარმოები!..

ამ გვარად, ჩვენი საზომია,... ჩვენი მოთხოვნილება მწერლისადმი: ა) ლამაზად. დაგვიხატოს ჭეშმარიტი გრძნობანი რასაც თვითონ უნდა განიცდიდეს შემოქმედების დროს. ბ) განცდა იგი იყოს ბუნებრივი და ჭეშმარიტი გ) საღმრთო საღმრთოთ გასაგონი—სუფთა ენა, მშვენიერი ფორმა და დ) ,,მსმენელთათვის დიდი მარგი.‘‘

ამ საზომით თუ შევხედავთ ბ-ნ აკაკი პაპავას მოთხრობებს გადაჭრით უნდა ვაღვიაროთ, რომ არც ერთ ამ მოთხოვნილებას ეს მოთხრობანი ვერ აკმაყოფილებენ.

მოთხრობა 1 ,,სოლეილდორ

ოთხმოცდა თორმეტ გვერდზეა გაჭიმული, მაგრამ ვერ ვახერხებ, რომ დალაგებით გადმოგცეთ მისი შინაარსი, თუმცა სურვილი დიდი მაქვს. რა მიზეზია? სწორედ ის, რომ სიყალბეზეა აშენებული და სიყალბე ისეთი რამ არის რაც მეტს გასჭიმავ, მით შენც დაიბნევი და მსმენელსა თუ მკითხველსაც გზა-კვალს აუბნევ,

ვიღაც ყმაწვილ კაცს სერგოს, უყვარს ახალგაზრდა ცირა თიკო. თიკოსაც უყვარს. მაგრამ რაღაცა ახირებულობისა გამო ერთმანეთს არას უმხელენ, თუმცა ორთავენი იტანჯებიან. ამ ტანჯვა წვალებაში სერგო შუამავლად ხდება თიკოსა და თავის მეგობარ ნიკოს შორის, ნიკო უახლოვდება თიკოს. ეჭვნაკრავი სერგო კი დარბის ქალაქიდან სოფელში, სოფლიდან ქალაქში, ფრონტზე... ნერვიულობს, ჰირვეულობს, თავის თავს ეჩხუბება, თიკოს აჩრდილზე ლოცულობს, ქეიფობს დარდის გასაქარვებლად, ცოტ-ცოტას არშიყობს კიდეც, ბანქოს თამაშობს, ფულებს ჰფანტავს და გიჟობს, შლეგიანობს თიკოს სიყვარულით. ამასობაში გაიგებს რომ თიკოსა და ნიკოს ჯვარის დაწერა გადაუწყვეტიათ და ქორწილში ეპატიჟებიან 24 თებერვალისთვის, მაგრამ სწორედ იმ დღეს, თავს შეაკლავს ვიღაც ოსმანა თათარს, რომელსაც ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავს და ალბად ეჭვი რამ აალებინა‘‘. ასეთია მოკლედ ქარგა მოთხრობისა—ნასკვი უცნაური და ყალბია. რა ხელი აქვს ტრაღიზმს იქ, სადაც ორივე მხრივ საქმე გაჩარხულია. უცხო ქალსა და ვაჟს უყვართ ერთმანეთი, დაიწერონ ჯვარი ან სამოქალაქო წესით იქორწინონ, მორჩა და გათავდა! რა არის აქ სატიალი და სადავიდარაბო? მაგრამ სწორედ აქ მოუნდომნია ბ-ნ ავტორს რაღაცა ახალის თქმა, რაღაც ახალი ელემენტის შეტანა სიყვარულში. რომელიც ისეთივე ძველია როგორც ქვეყანა მაგრამ იმავე დროს ისეთივე გულისთქმა აქვს, როგორც დღევანდელ შეყვარებულ ახალგაზრდათ—ტრფობის ამოწურვა და ეს შედეგი დაუყოვნებლივ მოსდევს ხოლმე სიყვარულს, თუ სხვა (მესამე პირი, ან მოვალეობა) არ ეღობება წინ. დრამა იწყობა მხოლოდ აქედან, უამისოდ დრამის შექმნა სიყალბეა და სწორედ ამან გააყალბა ბ-ნ აკაკი პაპავას მოთხრობაც. იმ სიყალბეზე ავტორი ხან თავის გმირს ალაპარაკებს, ხან ნიკოს, ხან თიკოს, ხან ქეთოს ხან და-ხან (როცა საქმე გაჭირდება ხოლმე) თვით ბ-ნი აკაკი პაპავაც ეშველება მათ, მაგრამ ნათქვამია ,,ააფრინე ალალიო, რაც არ არის არარიო‘‘. როცა დრამატიზმისათვის ნიადაგი არ არის,—პატივცემულ ავტორს ისეთი ნაძალადევი ტრაღი-კომედია გამოუდის, რომ მკითხველს უნებლიედ გაკვირვების გრძნობა იპყრობს და მხრების აწევით კითხულობს: ,,ნეტა რისთვის დამაშვრილა ავტორი, რატომ ბ-ნმა აკაკი პაპავამ, იმ აკაკი პაპავამ, რომელთანაც შეყვარებული სერგო ,,ყოველ დღე დადიოდა‘‘ (გვ. 71) არ ურჩია ამ საბრალოს ბუტიაობისათვის თავი დაენებებინა და ბარემ მისულიყო იმ სასულელემდე, რომელსაც ას კაცში ოთხმოცდა ცხრამეტი ,,ისაია მხიარულებამდე‘‘ მიჰყავს*) რა ჰქონდა მოთხრობის გმირს თავში საცემი და სავალალო? სრულიად არაფერი, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ავტორს, ბ-ნ აკაკი პაპავას, რომელიც მოთხრობის გმირის სიტყვით ,,მოშუქე (!) თვალები აქვს და წამოწითლებული სახე—იგი ზის და სწერს, სწერს დაუწყნარებლივ, ალბად რომანსა, რომლის შესახებაც ბევრი რამ მიამბო და რომლისთვისაც მას ჩვენ ქალებში ტიპი ვერ იპოვნა, ამაყი სიყვარულით დატვირთულ (?!) გადამწვარ (?!) ქართველ ქალის ტიპი. (მოთხრ. ,,სოლეილდორ‘‘ გვერდი 72, მეთორმეტე მეშვიდე სტრიქონები ქვეიდან) ალბად ,,სიყვარულით დატვირთულ, გადამწვარ ქართველ ქალის ტიპი‘‘ რომ ვერ უპოვნია, ქართველ ვაჟებში მოუნახავს იგი უცნაური ,,ტიპი‘‘ და ისიც ისეთი ყალბი გამოუვიდა, რომ არამც თუ ,,დატვირთულ და გადამწვარ სიყვარულს ვერ გაუძლო საბრალო სერგომ, არამედ ყოვლად იმედიანი, ყოვლად ,,დაუტვირთავი, გადაუწვარ სიყვარული‘‘ თითონვე გააჭიაკოკონავა და ათასი წვალებ უკუღმართობის შემდეგ, რომელთა დახსომება ყოვლად შეუძლებელია სადი ადამიანისათვის, და რომელთა განცდაც წარმოუდგენელია დაკვირვებულ მკითხველისათვის,—სულელურად გააგმირვინა ტყვიით თავი ვიღაც ოსმანა თათარს, ,,რომელსაც მეტად მზეთუნახავი ცოლი ჰყავდა‘‘.

მოთხრობა 2 ,,მკრთალ სხივთა ძნა‘‘ არსებითად გაგრძელებაა ,,სოლეილდორისა‘‘ აქაც ვიღაც ვასო იტანჯება მეორე თიკოსათვის, მათ შეუღლებას ხელს არაფერი უშლის, მაგრამ რიღასთვისაც და რაღაცისათვის ბატონი ავტორი უკვდავი ურიასავით ატანტალებს თავის გმირებს, დაუსრულებლივ აწამებს სტანჯავს მათ, ვიდრე ორივე ამ ტანჯვით არ დაჰკლდებიან და ერთი მეორეზე არ დაიხოცებიან. (ჯერ საბრალო ქალი კვდება ჭლექით და მერე ვასო ებრძვის ამ ულმობელ სენს.) აქაც გაკვირვებული რჩება მკითხველი, აქაც ძალაუნებურად კითხულობს მათი ტანჯვის არ განმცდელი, მაგრა ამ მოთხრობის კითხვით ჭეშმარიტად დატანჯული მკითხველი: რა უნდა სთქვას ამით ავტორმა? რომეო და ჯულიეტას ხომ არ დასცინის? ტარიელსა და ნესტანს ხომ არ უწუნებს ქცევას, ან დანტესა და ბეატრიჩეს ხომ არა ჰკილავს? მაშ გიჟები ყოფილან ძველი გენიოსები, როცა ამბობდენ: ცეცხლის ნაკვერჩხლებზე დადებული შეშა ბერვით აინთება, სიყვარული კი ხვევნა-კოცნითაო‘‘. ბ-ნ აკაკი პაპავას საბრალო გმირები კი სიყვარულის ნაკვერჩხლებსაც გაიქცევნ, ერთმანეთს კლდე-ღრეში ემალებოდენ და უცვლელოთ კი ჩაიფერფლენ, ჩაიწვნენ. რათა? რისთვის? ეს რა გმირობაა მათის მხრივ, ან რომელი მორალის, რომელი საზოგადოებრივი მოვალეობისათვის იყო ეს საჭირო. განა სულელობა არ არის ასეთი მსხვერპლის მოტანა? ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე ახალგაზდები სიყვარულის ღმერთს ერთმანეთისათვის შეუქმნია და ესენი კი სწიხლავენ თავის გამჩენს, ალბათ იმ შეცდომისათვის, რომ ასეთი უტვინო და უგულო ახალგაზრდები შეუქმნია, როცა მათ არც ხელიშემშლელი ჰყავდა და არც გზიდან გადამგდები. მაგრამ არა! აი რა ,,სიბრძნესა‘‘ სწერს სულთმობრძავი თიკო ვასოს: მითხარ, ამიხსენ რათ გვიყვარდა ასე ძლიერი სიყვარულით ერთმანეთი და რათ ვტანჯავდით ასე სასტიკად ურთიერთს? გახსოვს, ერთხელ რო ჯალათი მიწოდე? ჩვენ ორთავეს ჯალათის ბუნება გვაქვს, მაგრამ მე ხომ მივდივარ და შენი, ჩემო ჯალათო, სიყვარულიც თან მიმაქვს!‘‘... (გვერდი 163) ან კიდევ: (გვ. 162) ,,მთელი ჩემი სიყვარული ამოუხსნელი (!) და გამოუცნობი გიჟობა იყო‘‘...

,,შენ კვლავ მაწამებ, სასტიკი ხარ და აი ორი საშინელი ბუნების ადამიანი შევხვდით ერთმანეთს და არც ერთმა არ მოვიხარეთ თავი, რათა მეორის ძლიერება აშკარა არ გვეყო... და ორივემ საშინლად დავტანჯეთ ერთმანეთი!‘‘ და სხვა (იქვე) ხედავთ რა ყოფილა მიზეზი მათის სიყვარულისა და ამავე სიყარულის ნება ყოფლობით უარისყოფისა?—მათი ,,ჯალათის ბუნება‘‘ და ,,ერთმანეთის ძლიერების დაფარვა‘‘! სწორედ საშინელი სენი სჭირებიათ, და მადლი ამერს, რომ ასე უმოწყალოთ გათავდა მათი ომი, თორემ მათი შთამომავლობაც ჯალათები შეიქმნებოდენ... მაგრამ ვიკითხოთ, განა სიყვარული იმისთვის არ არის გაჩენილი რომ თვით ჯალათის გულიც კი მოალბოს?!

არა, ბატონო ავტორო, ორიგინალობა კარგი საქმეა, მაგრამ არა ყალბ ნიადაგზე დარგული და აღმოცენებული. სიყვარული იმიტომაა ძლიერი, რომ იგი ერთ ხორცადა და ერთ სულადა ხდის ქალ-ვაჟთ. ამას გვასწავლის ცხოვრება და ხოლოდ ამას ესწრაფვის სიყვარული. თქვენი გმირები კი რაღაც ლეგენდარული ყოფილან და მათი უადგილო ტანჯვა სიბრალულს კი არა, მხოლოდ გაცვიფრებას გამოიწვევს ქვეყნის მოკეთის თვალსა და გულში...

ცოტა უფრო უკეთესადა და თითქოს მახვილიდაც მოფიქრებულია მოთხრობა 3 ,,ქალის ცრემლები‘‘.

,,უკვე სამი საათია ღამისა, მაგრამ ქალის თვალს ძილის ნაცვლად მდუღარე ცრემლი ადგება. რა ლამაზია იგი ამ დროს. ვარდის ფერი გულ ამოჭრილი პერანგი ნახევრად დაფარულია გიშრის თმის ქვეშ. ყელი ოდნავ მოუღერებია და ვით თავ დახრილი შროშანა, ნახევრად მწოლარე დასცქერის წიგნს., გატაცებით კითხულობს. მის გვერდით მწოლარე ქმარს, მთელი დღის მუშაობით მოღლილსა და მოთქვილს, თავი ბალიშებში ჩაურგავს, მეტი ნეტარებით (!) პირი გაღებია და თავისუფლად ხვრინავს. (,,გვერდი 170)‘‘

მშვენიერი კონტრასტია, მაგრამ ჩვენებურ ცოლქმართა ცხოვრებაში შეუძლებელი თუ არა, ძალიან იშვიათია მაინც!

ქალი რომანის კითხვამ გაიტაცა და როდესაც რომანის გმირმა დაუკმაყოფილებელი სიყვარულის გამო თავი დაირჩო და რომანიც დასრულდა, ქალი დიდხანს დასცქეროდა წიგნის უკანასკნელ გვერდს. ფიქრებმა გაიტაცა, ოცნებამ წაიღო. ამ დროს გაისმა ქმრის ხვრინვა. რომანის გმირის სიყვარულით გულ აძგერებულმა ქალმა ცრემლით აღსავსე თვალები მიაპყრო ქმარს... იმასაც მოსწყურდა ალერსი, თანაგრძნობა. მაგრამ ძილის გუდა ქმარი რაღაცას ლუღლუღებდა. ბოლოს გაჯავრებით მხარი იცვალა და და კვლავ ხვრინვა ამოუშვა.

ამ დღიდან ლამაზმა ცოლმა იგრძნო მარტოობა... ობლობა...

ერთხელ მასკარადში იყო. ხალხი ბუზივით ირეოდა. ბევრი შესანიშნავი და საყურადღებო მასკა მოვიდა... ერთმა, რომელმაც ესპანური კოსტუმი ეცვა კინაღამ პირველი ჯილდოც არ დაიმსახურა, მაგრამ ამ დროს შემოვიდა ვიღაცა, რომელსაც ტარიელის—ვეფხის ტყავი ეცვა. აგებულებით მშვენიერი ვაჟკაცი იყო, ყველა მას შემოეხვია, მაგრამ იგი პირდაპირ მივიდა ტასოსთან და დაუწყო აშიკობა.

ტასოს გულის ცემამ მოუმატა. ,,სიყვარული, სიყვარული, სიყვარული! ჩასჩურჩულებდა რაღაცა ხმა, მოკლედ რომ ვსთქვათ—ტასოს აღკრძალული ხილის ჰამა მაინც და მაინც არ გაუძნელდებოდა. გათავდა საღამო.

ტასოც შინ წამოვიდა და მთელი დღეები მხოლოდ ამ ნიღაბზე ოცნებობდა. მეორეთაც შეხვდა ეს ნიღაბი ტასოს იმავე დარბაზში და აქ კი...

მიყვარხარ! წაიბუტბუტა ნიღაბმა. დინჯად წამოდგა და გარედ გავიდა.

— მეც! ჩასჩურჩულა ვიღამაც იდუმალში (!) და ტასომ თავი ჩაჰკიდა..

გათავდა საღამო. სიყვარულით გულგანგმირული ცოლი და დედა სახლში დაბრუნდა თავის ძილის გუდა ქმართან. ეს იყო და ეს. ის ნიღაბი გარდაიქცა ტასოს საოცნებო საგნად, მის ჩუმ ტრფიალად.

ერთ დღეს ქმარი რედაქციაში წავიდა, თავის ახალი რომანი უნდა წაეკითხა ამხანაგებისათვის. ტასო სავარძელში იჯდა და ოცნებობდა.. იმ ნიღაბზე. ამ დროს შემოვიდა მისი პატარა ვაჟი, თავზე ვეფხის ტყავის ქუდი ეხურა და დედის ყურადღება მიიპყრო. ტასო გაშრა, მივარდა ბავშვს ქუდი გამოსტაცა და ჯავრობა დაუწყო. ატირებულმა ბავშვმა დედა მიიყვანა იმ ყუთთან, საიდანაც ეს ქუდი ამოიღო. ქალს პირ კატა ეცა! აქვე დახვდა მას არა მარტო ვეფხის ტყავის ტანისამოსი, არამედ ის კოსტუმიც, რომელიც ეცვა მის ოცნების საგანს მეორე საღამოზედაც. აღმოჩნდა, რომ ის ნიღაბი არა სხვა ვინმე ყოფილა, არამედ მისი საკუთარი ქმარი. ქალს ელდა ეცა, ოცნებანი დაემსხვრა, გაჯავრებული შევარდა თავის საწოლ ოთახში და მწარე ქვითინი მორთო, მთელი დღე გარედ აღარ გამოსულა და როცა ქმარი შეეხვეწა—კარგია, რა გატირებს, გამოდი სადილი გაცივდაო, ტასომ კარებს იქიდან გამოსძახა.

— არა მინდა არა!.. დამტოვეთ მარტო.

ბეყური ქმარი ასასივით აეყუდა კარებს, ხოლო ცოლი განუწყვეტლივ ტიროდა.

ამით თავდება ეს სამწუხარო მოთხრობა, მეტის მეტად სასაცილო რომ არ იყოს ცოლ-ქმრის ასეთი ვამასხარავება და გასულელება...

პატივცემულ ავტორს ან სრულებით არა სცოდნია ჩვენი მწერლებისა და ლიტერატორების ოჯახური ყოფა ცხოვრება, ან, ოჯახის ქალები—ქართველი ქალები, სულყველა ,,ინსტიტუტკა‘‘ ჰგონია. პირველი ცოდვა მიეტევება, ჯერ თვითონ უცოლოა, მგონია. მეორე კი არ ეპატიება. ოჯახის ქართველ ქალებს ,,საინსტიტუტკოდ‘‘ აღარა სცალიანთ და ვეღარც მოიცლიდენ ამ უკანასკნელ აღრეულობის ხანაში მაინც. ყოველ შემთხვევაში ტასო და მისი ლიტერატორი ქმარი ფარსის გმირები უფრო არიან, ვიდრე მოთხრობისა...

ასეა თუ ისე ვმადლობ ბ-ნ პაპავას, რომ ამ სულელების ყოფა-ქცევის აღწერით ასე გულიანად გამაცინა გაყინულსა და ნახევრად დაბნელებულ ოთახში....

მე გავათავე ჩემი შენიშვნები. ვიცი რომ ბ-ნ აკაკი პაპავას საზოგადოებრივი მდგომარეობა, მისი პარტიული ვინაობა და ჭეშმარიტი ინტელიგენტობა ბევრ ქათინაურებს გამოიწვევს ჩვენი წრის ამა თუ იმ ბანაკში. მეც კი მინდა გულწრფელი ქება ვუძღვნა იმ რამდენიმე გვერდისათვის, (გვ. 139—157, თავი ,,კრემატორიუმში), რომელმაც აღტაცებაში მომიყვანა და რომელი ადგილიც მისი მოთხრობებისა აუცილებლად მოწმობს ავტორის უტყუარ ნიჭს და ტემპერამენტს,—მაგრამ მთელი წიგნი საერთოდ სუსტია და ახალგაზრდა ავტორისაგან მოითხოვს მეტ შრომას, დაკვირვებასა და ცხოვრების შესწავლას. მე ჯერ-ჯერობით ამ მოთხრობებში ვერ ვხედავ ვერც არაკის სისწორეს და ვერც მკაფიო შემოქმედებას ძალზე მოისუსტებს ტეხნიკური მხარე და ენაც მოთხრობებისა. ავტორი თავის გმირებს ალაპარაკებს ხან პირველი პირით, ხან მესამეთი, ხანდისხან თავის ნამდვილი სახელისა და გვარის აღნიშვნით თითონაც ერევა მათ შორის (რაც დაუშვებელია) და ეს კი აბნევს ფაქტების დახსომებას, გმირთა სულის კვეთებისა და ხასიათის შეგნებას. (თუ კი მოიპოვებათ ასეთი რამ) უადგილობისა გამო აქ არ მომყავს ნიმუშები ავტორის ენის სისუსტისა. (ზემოდ ამოწერილების გარდა ავღნიშნავ მხოლოდ ზოგიერთ ადგილებს და ვისაც ჰსურს, შეამოწმოს: გვერდი მეოთხე, სტრიქონი 16, 15, 14,—8 ქვევიდან, გვერდი 5, შუაში მთელი ტირადა. ,,რამდენიმე მეგობარი ქალები‘‘ (ქალი) გვერდი 8, გვერდი 13, 17, 18, 28, 32, 33 და სხვა და სხვა). მართალია, მას შემდეგ რაც საქართველო გადემოკრატდა და გასოციალისტდა, ნამეტნავად რაც მწერლობას ხელი მიჰყვეს თუმცა ნიჭიერმა, მაგრამ უწიგნო (безграмотные) მწერლებმა, ქართული მოთხრობითი ენა ძალზე შეირყვნა და პროვინციალიზმებით აივსო, მაგრამ ის რაც მიეტევებათ სკოლის გარეშე აღზრდილ ჩვენ მწერლებს, არ ეპატიებათ დიდად განათლებულ ქართველ მწერლებს: ისინი უნდა სცდილობდენ არა მარტო დაცვას ქართულ სალიტერატურო ენისას, არამედ მოვალენი არიან შეჰქმნან აკადემიაც კი ენის სავალდებულო ერთგვარობის დასამყარებლად, რომ აღარავის არ შეეძლოს ერთგვარობის დარღვევა. ქართული მოთხრობითი ენა გაასადავა დ. ჭონქაძემ, გაალამაზა და გააღრმავა ილიამ, გაამსუბუქა და გაამრავალფეროვნა აკაკიმ, გამოჰკვეთა ვაჟამ (მოთხრობებში) მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დამუშავება სჭირია მას და თუ ჩვენ ახალს ვერას შევძლებთ ილია-აკაკი—ვაჟას მოთხრობითი ენას, ნუღარ დავამახინჯებთ მაინც მას და დავიცვათ ყველასათვის სავალდებულო და დღევანდლამდე დამუშავებული სალიტერატურო მართლ-წერა. იქნება ძალიან სუბუქი და კეთილხმოვანი იყოს მაგ. აქანეი, იქინეი, ბაგში, სამიდღემჩიო, აწი რავა, მარა, იმერული მიმოქცევა კილოისა და სხვა და სხვა, მაგრამ ეს ფორმები ამახინჯებენ და აკნინებენ უფრო დარბაისელ და მტკიცე ფორმებს, ჩვენი მწერლობიდან ძველადვე ნაკურთხ და შემუშავებულს.

დიდება იმერეთს მისი სიმკვირცხლე, სიფხიზლისათვის, გაუმარჯოს ამერეთსაც მისის შრომის მოყვარეობა—მოთმინებისათვის, მაგრამ, ენა, სალიტერატურო ქართული ენა, მაინც ერთი უნდა იყოს ყველა ქართველი მწერლისათვის ამერელი იქნება იგი, თუ იმერელი,—სკოლაში ნასწავლი იქნება იგი, თუ ცხოვრებაში. ვინც არ შეისწავლის სალიტერატურო ქართულ ენას, ის მწერალთა გუნდში ვერ ჩაითვლება!

ა. გვაძაძე.

---

*) მაგალითად, პატივცემული ივ. გომართელი თავის ზოგიერთ წერილებში, ვისაც კი ამ 2—3 წელიწადში ლექსი დაუწერია, ყველას მგოსნად იხსენიებს. მე კი ბევრს მათგანს გავახსენებდი აკაკის სიტყვებს: სწერეთ, ძამიებო, და თუ პოეტები ვერ გახდებით, წერა-კითხვას მაინც ისწავლითმეთქი.

ავტ.

*) ,,ისაია მხიარული‘‘—საგალობელია ჯვრის წერის დროს.

ავტ.

ჩვენი კორესპონდენტები

დაბა ცხინვალი

ახლად დასახლებულთა ყრილობა.

22 დეკემბერს, ცხინვალში მთავრობის რწმუნებულის და დამფუძნებელი კრების წევრის ვიკტორ ელენტის მიერ, რომელსაც აქვს მთავრობისაგან დავალებული აყრილ და ოსებისგან განთავისუფლებულ ძველ ქართულ ნასოფლარების დასახლების და მოწყობის საქმე, მოწვეული ჰყავდა ახლად დასახლებულთა რწმუნებულები ანუ არჩეული კაცები. საათის თორმეტზე, ცხინვალში, აღნიშნულ ალაგს უკვე თავი მოეყარათ მოწვეულთ. გარდა ამათი, კიდევ იყვნენ მოპატიჟებულნი ბ. ელენტის მიერ რამდენიმე აქაური საზოგადო მოღვაწენი, გვარდიის და ჯარის შტაბის წევრნი, ტყის გამგე, და ცხინვალის წვრილი ერთეულის გამგეობა. სულ ორმოცი კაცამდე. ბატონმა ელენტმა განუმარტა მიზეზი დღევანდელი ყრილობის, რომელსაც ჰქონდა ხასიათი გადმოსახლებულთა წარმომადგენლების ერთმანეთის გაცნობისა, აგრეთვე მათი გაცნობა პირადათ მოწვეული სტუმრებისა. ,,22 დეკემბერი ეს დღესასწაულია და საზეიმო დღეა ახლად გადმოსახლებულ ხალხისა‘‘ო სთქვა ბ-მა ელენტმა, რომელმაც მოკლე სიტყვით მიულოცა გადმოსახლებულთ, ამ მათვის ახალ ქვეყანაში დასახლებისა. მოსალოც სიტყვაში მოკლეთ განუმარტა ისტორია ამ დასახლებისა და ჩააგონა ხალხს რომ ეს ქვეყანა, ეს ზემო ქართლი, არ არის მთა ოსეთი, ანუ სამხრეთი ოსეთი, რომელი, თითქოს, სწამს მთავრობის წრეებში, თითქოს ეს ოსებისგან დაცლილი ქვეყანა, ოსეთი ანუ მთა ოსეთი იყოს, ეს იყო საქართველო, ზემო ქართლი და აქ არავითარი ოსეთი არა ყოფილაო.

ორატორის მარტივ და მშვენიერი გასაგების ენით ყოველივე თქმულისა მსმენელნი ტაშის კვრით და მადლობით შეხვდნენ, და განემტკიცათ გონებაში, რომ ეს გადმოსახლებულნი უცხო ქვეყანაში კი არ გადმოსახლებულან, არამედ შუაგულ საქართველოს, კავკასიონის ბუმბერაზ მთების კალთებში, რომელთაც უნდა ზურგი მიჰყუდონ ამ მთას და მტერი არ შემოუშვან ჩრდილოეთით. რომელი მტერიც, ეს მახანათურად გამოსული შინაური მტერი, ჯერ ქურდულად და შემდგომ აშკარად ოთხჯერ მოღალატურად გამოვიდნენ საქართველოს დასაღუპათ. გარდა ამისა ის ეტნოგრაფიულად ჩამოშორება რაჭისა და იმერეთისა, რომელიც იყო შეწყვეტილი ოსების მოსახლეობით ამერ იმერთა შორის, თავიდგან მოშორებულია და ეხლა საქართველოს რუკა წარმოადგენს ერთ მთლიან ტერიტორიას ქართველებისგან დასახლებულს. შემდეგ მიულოცეს გადმოსახლებულთ მოწვეულმა სტუმრებმა და ადგილობრივობის მკვიდრე პირებმა, აუხსნეს რომ ის ადგილები, საცა გადმოსახლებულები სახლდებიან, იყო სულ საუკუნის ნახევრის წინათ ქართველებით დასახლებული, მაგრამ ჟამთა ვითარების გამო ეს ქვეყანა დაცლილიყო ქართველებისაგან, რომლებიც გორში ჩამოსულან და მათ ნასახლარებზე დასახლებულან ოსები, სულ სამოცი—ოთხმოცი წლის განმავლობაში, რასაც ხელს უწყობდა რუსის მთავრობა, რომ ამ ოსების ჩამოსახლებით გაეწყვიტა ურთიერთობა ამერ იმერთა და რაჭველთა შორის და გადმოსავალი გზები შეეკრა, რაც უკვე ამ უკანასკნელ წლიწადებში სრულ იქმნა. ახლა კი რაჭიდან საჩხერის და შორაპნის მაზრიდგან წონასა და ჟრწოზე გადმოსავალი გზები აგრეთვე ჰქრათა ხევზე ყორნისისკენ მომავალი ბილიკები თავისუფალნი არიანო, და სხვა მოკლე განმარტებით. გადმოსახლებულნი დიდათ აამეს რომლის საპასუხოთ თვითეული მათგანი ისეთის სისრულის სიტყვით მადლობას იხდიდნენ და ისეთის ვაჟკაცურის ფიცით აღითქვამდნენ ამ ქვეყნის იარაღით დაცვას, რომ უეჭველად ასე იქმნება. კრებამ შეიმუშავა დეპეშის ტექსტი, რომელიც იქმნა გაგზავნილი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების მიმართ მადლობა და მილოცვა.

შემდეგ ელენტის მიერ ყველა სტუმრები მოწვეულნი იყვნენ სადილზე, სადაც სიმღერებით და მჭევრმეტყველობით სადღეგრძელოების წარმოთქმით ერთმანეთ გაიცნეს. თითქმის ყველა ორატორი გამოდგა, ზოგი სულ ლექსობდა და ისე ამხობდა თავის გულის თქმას, ზოგი კიდევ ლოცვით და ვედრებით ლექსობდა, გადმოსახლებულნი არიან იმერლები, გურულები. რაჭალეჩხუმელები. მთიულ გულამაყარ მოხევენი ქართლელები აწერის ხეობიდან და ჯარებიდგან, სამაჩაბლოდან და აწყურიდგან. ესე იგი თითქმის ყველა საქართველოს კუთხიდგან, თითქოს წინად გადმოსულან აქ რომ ამით დაამტკიცონ საქართველოს გაერთიანება დემოკრატიისაგან. ფრონის ხეობის სათავეებში ანუ ზემო ქართლში ს. მაღლაში, ნორმშისში, ყორნისში, წუნარში და რუსთავში, ანუ ზემო ქართლში დასახლებულა ჯერ ორას კომლამდე, ხოლო ჯავის ხეობაში მთიულ გულამაყარ მოხევენი ას ოთხ კომლამდე. ყველა ეს გადმოსახლებულნი მეტად მძიმეთ იტანენ ყველა გაჭირვებებს ამ უჩვეულო სუსხიან და ყინულიან ზამთარში. მთავრობა ეხმარება ელენტის დიდის სიყვარულიან ამ გადმოსახლებულების მიმართ მეცადინეობას რომელიც მეტად შეჰყვარებიათ და ცდილობენ ყველანაირად ასიამოვნონ. გვიან საღამოთი სტუმრები ნასიამოვნებნი დაიშალნენ.

ალექსანდრე მაჩაბელი.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის,
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. ტელ. 9—71. 3102. თე.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65; 1. 7—49

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

დაბრუნდა და განახლა ავადმყოფების მიღება
ექიმი
მ. ო. ხანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ. ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტასიას ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207.

ექიმი
ა. ე. ლევენშტეინი.
იღებს რენტგენისა და ელექტრონით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ და აგრეთვე აწარმოებს რენტგენის სხივებით შინაგან ორგანოთა და ჭრილობათა გამოკვლევას. წამლობა დიდი ძალის ტოკით. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა 3. ტელ. 12-46.
მიღება 11-12 და 4-7 საათამდე.

თვალების ავადმყოფების
ექიმი
მ. გოლდშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი
ა. ს. ჯავრიშვილი
სიფილისი (606—914 შეშხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდე ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. ოლღის ქუჩა, № 3, მელიქ-აზარიანცის სახლი. 3

ექიმი
ე. ი. კალანდაძე.
ლებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დღის 8—12 ს. ვენერიული სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 914) და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემმელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 3228

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის ხასულე—მილას ავადმყოფობას ვექიმობ ,,ნეიმანის და ვესსელის‘‘ მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას ,,ზოოტეხნიაზე‘‘ (საქონლის მოვლა-მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2

კბილის ექიმი
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
ჩამოვიდა მოსკოვიდან და იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილით 10—2 საათ. და საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის აღმართი (ოლღის ქუჩის კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ აზარიანცის ბინა № 20 ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ლებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილისა № 3208.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეთში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე და საღ. 6—8 საათამდე. მეჯვრისხევის ქ. № 26, ტელეფონი 7—92. 3314